



ეგანაიღ ვეიგინი

ექეონა



საბჭოთა მწერალი

19 თბილისი 58



තාරුණික
තිබුනාතින් ජාවාත්තිසුවීලිසා

K 66.203
2

සාහාරිත්‍ය ප්‍රතිපාදන මධ්‍යම
චාරිත්‍ය ප්‍රතිපාදන මධ්‍යම

მზეონას სწადია მჩხავანა კატა კიბიღან გადააგდოს. გაალიძოს ბებია, რომელიც ძილში ხვრინავს; საერთოდ მას სურს აურზაური ატეხოს... მაგრამ მზეონამ თავს სიტყვა მისცა, რომ მუდამ თავშეკაცებული და მომთმენი ყოფილიყო. სხვების აზრით, სწორედ ეს თვისებები აკლდა შის ხასიათს, აღაშიანშა აბა როდის უნდა დაიწყოს თავის თავის გაწრთვნა, თუ არა ჩვიდმეტი წლის ასაკში! წლებში რომ შეხეალ, ნაკლი ისე შეგისისხლხორცდება, შეიძლება ვეღარც დასძლიო. დაწყნარდი, მზეონა!— უბრძანებს თავს გოგონა ასეთ წუთებში, როდესაც მისი მდგომარეობა აუტანელი ეჩვენება, — დაწყნარდი! მართლადა ხომ არ შეიძლება სერიოზულად გაბრაზდე კატაზე! აბა რა მოვკითხება ამ გააზიშებულ, თავგასულ კატას. განა შენ თვითონ არ ათამაშებდი და ანებივრებდი მას! მაშ მოითმინე კიდეც. აბა ბებიაზე ხომ სულ არ შეიძლება გაჯავრება. ძილში ბევრი ადამიანი ხვრინავს, მაგრამ განა ვისმეს სწყინს! მერე რა თუ სადილი გაცივდა, გიორგი მოვა და ისევ გააცხელებ. განა გიორგი დამნაშავეა, რომ დაიგვიანა! მზეონას ძმა ვინმე ლაზლანდარა კი არ არის, სერიოზული კაცია, საამქროს უფროსს ცოტა საქმე როდი ევალება.

მზეონა გულით ცდილობს დამშვიდდეს. სარკეში კი ულიმის თავის თავს. შეგრავ ვა, რომ ძალდა მარტინი და მილი მის სახეზე არავითარ მხიარულებას არ გამოხატავს. მზეონამ სარკეს ზურგი შეაქცია. ასეთ შემთხვევაში ყოველგვარი ცდა უნაყოფოა: „თუ მხიარული არა ხარ, არც საჭიროა ღიმილი“.

„ნეტავ რა დაემართა გიორგის? — გაიფიქრა გოგონამ, — ქვევით უნდა ჩავირბინო და ქარხანაში დავტეკო“.

სამშაურიანი მუჭუში ჩაბლუჯა და კატას დაუძახა. ოთახში მისი მარტო დატოვება არ შეიძლება — უთუოდ მაგიდაზე ახტება. მაგრამ ნურას უკაცრავად, კატა ჯიუტია. არ უყვარს ძალდატანება: მზეონას ხელი გაუკაწრო და კარაღის უკან დაიმალა.

— მე შენ გიჩენებ სეირს! — ჯავრობს მზეონა. — ამ თავეგასულს ჰქუა უნდა ასწავლოს კაცმა. ერთი დახეთ, რა ზომამდე გაყოყოჩა! მაგრამ კატას ამჯერად ბედმა გაულიმა. ოთახში გიორგი შემოვიდა, იგი ბრჭყვიალა ძერტვზე გასალებს ატრიალებდა, ლოყაზე მიადო ტუჩები მზეონას. გოგონამ სახე აარიდა. ძმას პირიდან ლვინის სუნი ამოსდიოდა.

— გამარჯობა, მზეონა, — უთხრა გიორგიმ და თან პიჯაკი გაიხსნა. — ჩვენებიდან არაფერია?

— ჯერჯერობით არაფერი.

— არაფერი? — კითხულობს დალონებული გიორგი. არ ექაშნიკა ეს ამბავი. დღეს არც დაიკო მოსდის თვალში. ნეტავ რა ცხვირ პირი ჩამოსტირის?

— შენ ისევ უგუნებოდ ხარ?

— რატომ ისევ! — თავი ძლიერ შეიკავა მზეონამ და სამზარეულოსაკენ გაემართა.

— დაიცა! — მყაცრად დაუძახა ძმამ, — მე შენ გეორგი
ჰარიაჟები.

— სადილი უნდა გავაცხელო.

საქონის გეორგი
გეორგი

გიორგიმ მავიდას თეალი გადაპყრა და უკმაყოფილოდ
შეიცმუხნა: — ჰმ, აბა ეს რა გამოდის!

— იცი რას გეტუვი, საერთოდ სისულელეა, რად მე-
ლოდით, ნუთუ არ შეიძლებოდა უჩემოდ გესაღილნა?

შეეონა დუმს, სამშაურიანს დასცემის და ფიქრობს:
— მე კი მინდოდა დაშერეკა, ვწუხდი. ის კი... არა, არ
ვიტირებ. ყოველივე ეს ერთ წვეთ ცრემლადაც არა
ლირს. არ ვიტირებ, — და გოგონას ბოლმა სულ უფრო
და უფრო აწვებოდა.

— უფრო ადრე მოსვლა ვერ მოვახერხე, — განაგრძო
გიორგიმ და თან ჰალსტუხი მოიხსნა, — ჩემმა თანაკურ-
სელმა ამხანაგმა ამირანმა დამპატიება. — გახსოვს ამირანი?
არა? საკვირველია! მან კი გიკითხა.

— არ მჯერა.

— გეუბნები გიკითხა-მეთქი. შენი სადლეგრძელოც
კი შევსვით.

— გეტუობა, რომ შესვით.

— ტყუილა ცხარობ.

— მეტი საქმე არა მაქვს, შენზე გაეცხარდე.

— აა ასეთი პასუხი მოძირონს, — დამშვიდლა გიორ-
გი, — ეგ არაფერია. გათხოვდები და, — ლიმილით დაურ-
ოო ძმამ, — ქმარი შაინც დააჩვიე შინ დროზე მოსვლას.

— გმადლობ რჩევისათვის.

— ისევ გამიბრაზდი? ფარგი, კარგი. შაპატიე... მოდი,
ვისადილოთ. ბებიაც გავალვიძოთ?

— არა, ეძინოს.

მზეონა მაგიდას მიუჯდა. რასაკვირველი ურთიერთულობი იყო სადილს არ გაიცხელებდა, ისედაც შემტკიცის ყედება ახლებოდათ. გოგონამ თეფშე დაისხა ციფი წვენი, რომლის ზედაპირზე ქონის თეთრი რგოლები ლივლივებდა. ციფი წვენი უგემურია, მაგრამ მზეონა მაინც შეემცევა — სადილი ხომ მისი ნახელავია. ოპ, რა საწყენია: როგორი მონდომებით შეამზადა და მაინც გაუფუჭდა სადილი... მაში ტყუილად უვლია დღეს მაღაზიებში, ტყუილად ევაჭრა მემწვანილეს. მაგრამ სხვაგვარად ხომ არ შეიძლება. მზეონა მოვალეა თითოეულ ჭაპიკს გაუფრთხილდეს, დედამ იმდენი ფული დაუტოვა, რომ ძლიერ ეყოფათ, სწორადაც მოიქცა: დედა სხვა ქალაქშია, ავადმყოფ მამას უფლის, იქ კი ფული უფრო საჭიროა...

გიორგიმ ტანსაცმელი გამოიცვალა და მაგიდას მიუჯდა. მან იცის, რომ დის წინაშე დამნაშავეა, მაგრამ, ამავე დროს, არც დის საქციელი მოსწონს. ალბათ გოგონას სწყინს, რომ ბანაკში ვერ წავიდა, ეს კი ცუდი ნიშანია — ჩანს, ეგოისტი იზრდება. მამა ავად ჰყავს და, ერთი დამიხედვეთ, თვითონ კი გასართობს ეძებს!

— მომისმინე, მზეონა, — ეუბნება გიორგი რბილი, არცთუ გაბედული ხმით (რას იზამ! დაიკოშე ცხრა წლით უფროსია, ვერა და ვერ დაეჩინა მასთან სერიოზულ ლაპარაკს), — შენ როგორლაც... ერთი სიტყვით, არდალეგებს უგემურად ატარებ. ქვაბსა და ნავთქურას ვერ სცილდები. იქნებ გვეპოვნა გამოსაფალი... მოდი, ერთად მოვიფიქროთ რამე.

მზეონა ძმას განრისხებულ მზერას ესვრის — ზღვის-

უერთ თვალები სიბრაზისაგან გამუქებია. როგორც ჩანს,
დღეს მაინც არ ასცდება ტირილი. როგორ ბეჭავს კო-
ორვი მას ფუქსავატი უწოდოს. მაშ ვინ მოამზიტა კოროვა
სადილი, ვინ დაალაგა ოთახები, ვინ გაურეცხა მას კი-
ტელი? წინდები ვინ დაუკერა!..

მაგრამ მზეონა განუმდა და ძმას არაფერი უთხრა.
არაეითარ შემთხვევაში არაფერს არ ეტყვის. თუკი მან
ყოველივე ეს ვერ შენიშნა, განა სიტყვები რამეს უშვე-
ლის! რა უმაღური, რა დაუნახავი ხარ, გიორგი...

— მზეონა, შენ რაღაც გუნებაზე არა ხარ. პირდა-
პირ გეტყვი, უშიშებოთ შენი ნაღველი.

— ეგ შენა გვონია, რომ უმიზებელა, — უპასუხებს მზე-
ონა და ცრემლს ძლიერ იკავებს.

— ვთქვათ, მართლაც გაქვს მიზეზი, — ეთანხმება გი-
ორები, — ვთქვათ, რომ გაქვს. მე არ ვიცი, მაგრამ შენ
ხომ ბამბებში გაზრდილი ქილიშვილი არა ხარ...

— ინკინრის და გახლავარ, — გესლიანად დაურთო
მზეონამ.

— დიახ, ინჯინრის და ხარ.

— და კომკავშირელი.

— აი სწორედ ამაშია საქმე...

— დიახ... კომკავშირელი, — უკვე სლოკინით უპასუ-
ხებს გოგონა. — კომკავშირელი, საზოგადო მუშაკი, მე
კი... მე კი ყველაფერს მოძრავი ტეს.

გიორგი მოიღრუბლა. შეწყვებულმა შხრები აიჩინა.

— იცი, რას გეტყვი... არაფერით არ შეგონა, თუ ასეთი
ეგოისტი იქნებოდი. მაინც რა გაწუხებს, ვის ემდური?

— მე... მე არაეისაც არ ვერდური. მე ჩემი ამბავი...

— შენი ამბავი... აი სანიმუშო კომქავშირებოდა! მზეონა მიხვდა, რომ წამოსცდა ის, რატე მის კომიტეტის ნებას, სინდის და რწმენას არ ეთანხმებოდა. მაგრამ რა უნდა ეჭნა, როცა თვითონ ვერ მიმხვდარიყო, რა აწუხებდა!

2

მზეონა მაგიდას დაემხო და აქვითონდა. ესლა აკლია გიორგის! საერთოდ ის ქალის ცრემლს ვერ იტანს, ახლა კი მისი ერთადერთი დაიკო ტირის.

აბა რა უთხრას, რით ანუგეშოს? დედა მაინც იყოს აქ: ისეთ რასმე ეტყოდა, რომ დაამშვიდებდა. გიორგის თავებზე აებნა, ამ რამდენიმე წლის მანძილზე ის უკვე შეეთვისა იმ აზრს, რომ აქვე მასთან ერთად იზრდება მისი და, მხიარული და უდარდელი გოგონა მზეონა, რომელსაც თხის კუდებიფით აპრეხილი ნაწნავები აქვს. გიორგი ყოველთვის აჩუქებდა ხოლმე ფულს პატარა დაიკოს ხან თოჯინის, ნაყინისა თუ წიგნის საყიდლად, აძლევდა ხოლმე კინოს ბილეთებსაც... ჰოდა, მეტი რაღა უნდოდა გოგოს? და კიდევ, როცა საამისო დრო და სურვილი ჰქონდა, კიდეც ემუსაიფებოდა დას.

იკითხავთ, რაზე ელაპარაკებოდათ? რასაკვირეელია, ათასგვარ წვრილმანზე. მეტი რა უნდა აინტერესებდეს გოგონას? გიორგის ეგონა, რომ კარგი ძმა იყო. ახლა კი ასე როდი ჰქონია! ახლა მისთვის უკვე ცხადია, რომ ყველაფერი მხედველობიდან გამოეპარა. ვერ შენიშნა, თუ როგორ ვაიყსო და გაიზარდა მისი დაიკო, როგორ

დაქალდა, როგორ განვითარდა მასში აქამდე უცობი
თვისებები, მოთხოვნილება და რაც მთავაროდ, წიგნებული
ბური დარღიც გაუჩნდა. ყოველივე ეს ახალგანვითარებული
გისათვის.

— კარგია, კმარა, გთხოვ დამშეიღდი, — უთხრა
დაბნეულმა გიორგიმ და დაიკოს ათროთოლებულ მხრებ-
ზე მოეხვია, — მე მესმის შენი წუხილი, შენ მამიკოს ჯავ-
რი გაქვს. მაგრამ ჩვენ უნდა გვჯეროდეს, რომ მალე
მორჩიება. მას ხომ დედა უვლის. შენ ხომ დარწმუნებუ-
ლი ხარ ჩვენი დედის ძალაში? ხომ ხარ დარწმუნებული!

მზეონას სურს ძმას უპასუხოს, მაგრამ ბოლმა ყელში
ებჯინება და ლაპარაქს უშლის; ლაწვებზე მდუღარე ნია-
ლვარივით ჩამოსდის ცრემლი.

აბა ერთი ჰკითხეთ მზეონას, რა ატირებდა, თვითო-
ნაც ვერ გეტყვით, რამ გამოიწვია მისი ცრემლები. იმან,
რომ სადილი გაცივდა და გაუგემურდა? ოჭ, ოჭ, არა.
მაშ, ძმის საყვედურმა იმოქმედა მასზე? არა, ძმას იგი
უყვარს. მასზე ფიქრმა აატირა? რა თქმა უნდა, მამის
ავადმყოფობა შის აწუხებს, მამა მას ქვეყანას ურჩევნია,
მაგრამ ერთხელაც არ მოსვლია აზრად, რომ მას შეიძ-
ლება რაიმე საფრთხე ელოდეს. იქნებ იმიტომ ატირდა,
რომ ზაფხულში ქალაქად დარჩა, მაშინ, როცა მისი ავ-
ხანაგები ზოგი ტურისტულ ლაშქრობაში მონაწილეობის
მისალებად წავიდა, ზოგიც ბანაკში პიონერხელმძღვა-
ნელად. კაცმა. რომ თქვას, ზოგჯერ გულიც წყდება ხოლ-
მე, უამხანაგოდ რომ დარჩა. ყველაზე შეტად კი მზეო-
ნას მისი პიონერული რაზმი ენატრება. და თუმცა უჭირს
უამხანაგოდ, ურაზმოდ ყოფნა, მაგრამ ახლა ეს როდი

ატირებს. მისთვის ხომ არავის დაუძალებია ზაფხულში
ქალაქად დარჩენილიყო. მან თვითონ ასე აჟანტი ვრცელ

მაშ რა არის მისი ცრემლის მიზეზი. პლუტონის სტატუსი
ამას მშეონას. თავადაც არ ესმის, რას ნიშნავს ეს.

ეს მოხდა მოულოდნელად, შეუცნობლად. სიმშვიდე
დაურღვია გოგონას და ააფორიაქა იგი. ეს სულ ამ
ახლო ხანში იყო, შუალამით. მზეონას ეზმინა, რომ გი-
ლაც უცნობი ალერსით შეეხო მის გულს და ხელი
მძლავრად მოუჭირა... ეს არ იყო მტკიცნეული, მაგრამ
მაინც საშინელი იყო რატომლაც. არა, არ იყო ეს
მტკიცნეული, მაგრამ მეტისმეტად ამაფორიაქებელი იყო.
დიახ, არ იყო ეს მტკიცნეული, პირიქით, თითქოს სა-
სიამოვნოც იყო, მაგრამ მზეონა მაინც შეშინდა, რადგან
ვერ გაევო, რა მოხდა.

და ასე შეორდებოდა ხშირად. საჭმარისი იყო, რომ
მზეონა მარტო დარჩენილიყო. ამ ბოლო ხანებში კი მას
ხშირად უხდებოდა მარტოობა: შეშინებული ყურს უგ-
დებდა საკუთარი გულის ძერას; სულიერი სიმშვიდე
ერღვეოდა, ადგილს ვერ მოულობდა, ხასიათის სიმტკი-
ცე ეკარგებოდა.

ამგვარად გოგონა თანდათან დარწმუნდა, რომ მის
ცხოვრებაში მაღვ ყველაფერი შეიცვლებოდა, რომ მის-
თვის სულ სხვა ხანა დადგებოდა. მაგრამ როგორი ხანა?
რა იქნებოდა ეს, რაში გამომეულავნდებოდა,—დიდ გმი-
რობაში (გოგონა მუდამ ოცნებობდა გმირობაზე), ბედ-
ნიერსა და მგზნებარე სიყვარულში (აქამდე ის ცოტას
და გაუბედავად ფიქრობდა სიყვარულზე), თუ?.. მაგრამ
ვინ იცის, რა იქნებოდა ეს? დაე, რაც მოსახლენია,

მოხდეს, ოღონდ ჩქარა, რაღგან იტანჯავს და გულს შემ-
რიღებს ზას ეს მოლოდინი. ო, თუ არ ეს შემოგვივავავა-
შარტოობა. ხომ სხვანაირად იქნებოდა ყველაზე უკანი ეს ე-
გულს გაუხსნიდა მახლობელ ადამიანს, რჩევას პკითხაფ-
და, გაიგებდა, სხვები როგორ იქცეოდნენ ასეთ მომენტ-
ში. მაგრამ ახლა ეს უნდა გაუმტებენოს გულისნიდე-
ბი. დედა შორსაა, მიხანაგებიც ზორს არიან, ბებიაც
შორსაა,—ის ხომ სულ სხვა ცხოვჩებით ცხოვრობს,
რომელიც შზეონასათვის უცხოა. მას გაანდოს გულის
დარღი? რატომდაც რცხვენია ამ თემაზე ძმისთან ლაპა-
რაკისა. გიორგი ჩამაკაცია, ის ალბათ ვაიცინებს და ეტუ-
ვის: „სევდა შემოგწოლია, ჩემო დაიკო!“.

შზეონა თვითონევე იტანჯებოდა, ინტერესებდა გაე-
გო, თუ რა იყო ეს? იქნებ ეს იყო წინათვრინობა. მაგ-
რამ არა, ეს ხომ სისულელეა, წინათვრინობისა ჩის არ
სჯეროდა, მაშ რა უნდა ექნა, თუ ეს მართლა წინათ-
ვრინობა იყო? როგორ უნდა შოკცეულიყო?

იქნებ ამიტომ ტირის ახლაც შზეონა? თითქოს პო,
თითქოს არაც. მაშ ტირილის ჩიზეზი, როგორც ხე-
დავთ, მას არცოთ ცოტა აქვს. ცალ-ცალჭე აღებული
ეს მიზეზი კი გოგონის არ აატირებდა. თავდაპირველად
მწარე იყო ცრემლი. ზან ჩამოტეცხა და თან წაიღო მთე-
ლი მისი ნალეველი, მნიშვნელოვანი თუ უმნიშვნელო სევ-
და. ერთი სიტყვით, ყვილა მისი საწყენი. შზეონამ უცებ
იგრძნო, რომ გულზე მოეშვა, თითქოს შძიმე ტვირთი
მოიშორა. გული ისევ ძველებურად თანაბრად და მშვი-
დად აუძგერდა, მაგრამ იქნებ ცრემლმა არ განქურნა ის?
ესეც მოსალოდნელია. იმით ხომ არ უკრძანია შვე-

ბა, როდესაც მას ძმამ თანაუგრძნო და მხარზე წელი
დაადო. დე, ძმამ ამაზე არაფერი იცოდეს, უკრაშების
ნურაფერს გაუმჯღავნებს მას, ამაში კი არაა წაქშე. ძვი-
ყნად იმაზე ძვირფასი არაფერია, როდესაც გაჭირვების
უამს მეგობარი ხელს გამოვიწვდის და შენს სევდას გაი-
ნაწილებს. ადამიანურ სითბოზე ძვირფასი არაფერია.
მზეონა გრძნობით მიეყრდნო ძმის მკერდს. გიორგის
ბლუზაზე დაედინა გოგონას თვალთაგან გადმომდინარე
წმინდა, უმწიკვლო ცრემლი—ქალწულის ცრემლი.

3

ამ დროს გაბმული ზარის რეკვა მოისმა. გიორგი
ფრთხილად ჩამოეცალა დას და დერეფანში გავიდა. მზე-
ონამ ცრემლი მოიწმინდა: ესლა აკლია, რომ სტუმარმაც
დაინახოს მისი ცრემლი. მაგრამ სტუმარი კი არა, მშობ-
ლების დეპეშა მოვიდა.

მზეონამ რამდენჯერმე გადაიკითხა: „მამა უკეთ არის.
გკოცნით“. თითქოს ცოტა სიტყვებია, მაგრამ რამდენი
სიხარულის დამტევი!

— ჩემო ძვირფასებო, — ალელვებული ჩურჩულებდა
მზეონა და დეპეშას გულში იხუტებდა.

ალტაცებულმა გიორგიმ დას ხელი დასტაცა და ოთახ-
ში დაატრიალა. მზეონა ეურჩებოდა:

— გამიშვი... გაძიშვი, გოგი!

გიორგი კი მხოლოდ იცინოდა და უფრო სწრაფად
ატრიალებდა დაიკოს. ადამიანის დარღვე გულგრილ
კატასაც, მოგეხსენებათ, არაფერი აქვს საწინააღმდეგო,

რომ დროდადრო მათ შხიარულებაში გაერიოს. იგი ვარსკურავს ურბენდა სახლის პატრონებს და ფეხებში ებჯაჭდებორცულა

ბებიასაც გამოელვიძა. როგორც ეტყობა, ხბაურმა კი არა, შიმშილმა გამოალვიძა. ოდნავ გაახილა თვალი თუ არა, შიმშნარევი და მსუნავი თვალით გახედა მაგიდას—საღილი გამოიტანეს თუ არაო. როდესაც დარწმუნდა, რომ მაგიდაზე საღილი იდგა, დამშვიდდა.

მზეონა ძმას ხელიდან გაუსხლტა, სამზარეულოში ქვაბი გაარბენინა, რომ კერძი გაეცხელებინა. აბა ცივ სუფს ხომ არ მიიჩოთმევს ბებია!

ბებიამ, როგორც ეს მას ჩვეოდა, შალის წინდებიანი ფეხებით მოსქებნა ნაბდის ფოსტლები, კანკალით და-ამთქნარი და საში თითი უკბილო პირზე მიიფარა.

— საოცარია,—თქვა ჩაფიქრებულმა ბებიამ,—არას-დროს საღილის წინ არ წამძინებია.

— არა უშავს რა,—დაამშვიდა გიორგიმ ბებია და გვერდით მიუჯდა.—გაამოს ძილი... ჩვენ კი ძალიან გა-ხარებული ვართ, დეპეშა მივიღეთ, მამა უკეთ ყოფილა...

— ასეც ვიცოდი,—თქვა ბებიამ,—დამესიზმრა სროლა, სისხლი და სინათლე... ვიცოდი, რომ კარგი ამბავი მოვიდოდა.

— ოხ, ბებია, ტყუილად კი არ გიშოდე გადმონაშთა მუზეუმის ცოცხალი ექსპონატი.

— ვიყო ექსპონატი, — გულგრილად თქვა მოხუცა, — ოღონდ არ დაივიწყო, რომ შენი ლვიძლი ბებია ვარ.

— მე ეს მუდამ მახსოვეს,—უთხრა გიორგიმ.

ბებია მაგიდას მიუახლოვდა, დიდხანს იწვალა, ვიდ-

რე მოხერხებულად მოიკალათებდა სკამზე, შემდეგ ჰუს /
ყუა მოატეხა, ტყებლის საწებელში ჩაწო დჟაჟაჟენებული
განწყობილებით ვამას შეუდგა.

მზეონამ ცხელი სუფი შემოიტანა ოთახში. ქვაბს სუ-
ყ ახშივარი ასდის. გაცხელებულ კურძს საოცრად გემ-
რიელი სურნელება აქვს. ბებია სიამოვნებით იყნოსავს
ამ სუნს და კრაყოფილებით ილიმება. გახარებულმა კა-
ტამაც ეშპაჯურად ამოიზნიქა ზურგი და იმ იმედით, რომ
ბებიას კერძიდან მასაც ცოტა რამ ერგებოდა. საცოლა-
ვად აკნავლდა, მავრამ ბებიამ კინწის კვრით გააგდო
ფისო. ის ვერ იტანდა ამ ღორმულელა, ჭურდსა და ლრი-
ტინა კატას.

მზეონა სადილის დროს თავს აქცევინებდა ბებიას.
ესაუბრებოდა შას მნიშვნელოვან საოჯახო საკითხებზე.
სიბერე და ავალმყოფობა ბომ ხელს უშლის ბებიას გა-
უძლვეს ოჯახს, მაგრამ მას შეუძლია სასარგებლო რჩევა
მისცეს შვილიშვილს, რას იხამ! გამოცდილება დიდი
საქმეა.

გიორგიმ კატას დაუძახა, ფისო მუხლებზე შეახტა
მას. მოიკუნტა, თვალი მინაბა და სიამოვნებით აკრუ-
ტუნდა. გიორგი შისი მეგობარია. კარგა ხანია გიორგი
ასეთ კარგ გუნებაზე არ ყოფილა. იგი კატას ზერგზე
ხელს უსვამდა, ყურს უგდებდა მის კრუტუნს და ფიქ-
რობდა: „შეიძლება სამალარისჩოდ წაეიქეიფოთ კილეც,
სერგოსთან წავალ, ერთად მოვიფიქრებთ რასმე... მაგ-
რამ აი თურმე რა ეგოისტი ვყოფილებარ. ასეთ სალამოს
დაიკო მარტო დავტოვო?! არა, თუ მხიარულებაა, ბა-
რემ ერთად ვიმხიარულოთ. ვაითუ?.. არა, რა დროს
ფიქრია“...



— აბა, მზეონა, მოემზადე! — ეითომდა მკაფეობრივი განაშენება დას გიორგი, — აბა, მარდალ, მხედრული პუშტენი უკარისონო „ორი“ და მზად უნდა იყო, რაო? როგორ თუ რატომ? მე და შენ შეჯლისზე მივდივართ, დიახ, მეჯლისზე ჩვენი ქარხნის კლუბში.

მზეონას შეკითხვაც ვერ მოუხერხებია. მის გაკვირვებას საზღვარი არა აქვს. გიორგი მეჯლისზე ეპატიება! ეგებ მოესმა? გოგონამ არც კი იცის გაუხარდეს თუ არა, ეგებ ძმა ეხურება. მაგრამ გიორგიმ დას მოსაწვევი ბარათები უჩვენა — ლაპაზი ოქროსვარაყიანი ბარათები. მაშ მართალი ყოუილა! მაშ, სიხარულის მიზეზი ჰქონია! „რაღას ვუზივარ.... — გაიფიქრა მზეონამ. — რამე უნდა გავაკეთო. ჯერ ჩავიდა ავალაგო, მერე...“

— შენ რა, ჭურჭელი უნდა დარეცხო? — იმავე კილოთი უთხრა გიორგიმ, — თავი გაანებე! აბა, ჩქარა, მოემზადე. ჭურჭელს ბებიაც დარეცხავს. ბებია უკვი თავს კარგად გრძნობს. ხომ მართალია, ბებია?

ბებია სდუმს. სახეზე დარდი ეხატება. მაგრამ იძაზე როდი დარდობს, რომ ჭურჭელი უნდა დარეცხოს. თუ საჭირო იქნება — სხვა რამესაც გააკეთებს. ბებიას სულ სხვა რამ აწუხებს. ის ფიქრობს, შვილიშვილი გადამერიაო.

— სად გაგონილა, — ალმეოთებით ამბობს ბებია, — რომ პირველ მეჯლისზე ასე მოუმზადებლად წაიყვანო ქალიშვილი. ხომ ხედავ, ტანზე რიგიანად არ აცვია. ხომ არ გაგიძედი!

— როგორ თუ არ აცვია, — უკეირს გიორგის, — შენ, ბებიაჩემო...

— გაჩუმდი, ცეტო, ხმა არ გამავონო, შენ, სულ მო-
თია, მაინც ვერაფერს გაიგებ... მე რომ ვაძბოჭარა ვაკე-
ვია მეთქი, ვიცი, რასაც ვგულისხმობ. ხომ არ გგონხია,
რომ ჩემი პირველი მეჯლისი დამვიწყებოდეს? სიკვდი-
ლამდე არ დამავიწყედება.

— ვიყვარდეს, იწყება ისტორიული მოგონებები....—
უიმედოდ ხელი ჩაიქნია გიორგიმ.

— დიახ, ისტორიული,—დინჯად განაგრძო ბებიამ,—
ისტორიული იყოს. როდესაც მე პირველ მეჯლისზე მი-
მიწვიეს, ოჯახში მთელი თვის წინასწარი სამზადისი იყო-
მაშ, აბა როგორ? უპირველეს ყოვლისა, კაბა უნდა შე-
ეკვეთათ, ეს კი, ჩემო კარგო, უბრალო საქმე როდია!
ახლა ფეხსაცმელი... შენ, რა თქმა უნდა, ალბათ გეცი-
ნება, ეს რაღა თავსატეხიაო. მაგრამ ასე არაა საქმე.
შენ ვერც კი წარმოიდგენ, გოგი, თუ რას ნიშნავს ნამდ-
ეილი სამეჯლისო ფეხსაცმელი. მთელი თვე ვლელავდით.
ხუმრობა საქმე ხომ არ იყო — პირველი მეჯლისისათვის
ქალიშვილის მომზადება... შენ კი: აბა, მარდად, მხედ-
რულადო, ერთი-ორი, და მოთავებული გვონია ჟველა-
ფერი.

— იცი რა, ბები,—მხოლოდ ამის თქმალა მოახერხა
გიორგიმ.

ბებიამ მაგრა მოკუმა წვრილი ტუჩები და რამდენსა-
მე ხანს დუმდა. რასაკეირველია, მან იცოდა, რომ მის
სიტყვებს გიორგისთვის არავითარი მნიშვნელობა არა
ჰქონდა. გიორგი ჟველაფერს თავის ნებაზე აკეთებდა.

— რას იზამ, წადით,—ხმის კანკალით წარმოთქვა
ბებიამ.—მაგრამ მე არ მინდა, რომ ჩემმა შვილიშვილმა
სირცხვილი ჭამოს. მე აღარას ვიტყვი... გავჩუმდები...

— აი ეს მომწონს, — გულგრილად შენიშნა გიორგიმ. ბებიაშ თავი ჩაღუნა, გულმოსულმა კიდევ ეჭრის ცვლილები შექამა. მაგრამ დიდხანს ვერ შეიძლო დაუშენდო. მხოლოდ მანამდე იყო გაჩუმებული, ვიდრე პირი ლუკ-მით სავსე ჰქონდა.

— მაინც რას ჩაიცვამ? — ჰკითხა ბებიამ, რომელიც მდგომარეობას შერიგებოდა, — ეგებ დედაშენის ახალი კაბა ჩაიცვა? კარგად გადგია.

— შენც იტყვი, რა, ბებია, — უპასუხა მზეონამ, — რად მინდა დედაჩენის კაბა! ჯერ ერთი, დედას ეწყინება... მეორეც, მე ის კაბა მაბერებს!

— ღმერთო ჩემო, — გადაიხარხარა გიორგიმ, — გამე-რებს... შენ გაბერებს?

მაგრავ მზეონას როდი ეხუმრებოდა. არც ისეთი ად-ვილი გადასაწყვეტი აღმოჩნდა, თუ რა ჩაეცვა. შართა-ლია, ბევრი კაბა მას არ ჰქონდა, მაგრამ... იქნებ ეს არშია მოელებული ვარდისფერი კაბა ჩაიცვას, ჯერ კიდევ ახა-ლია, მაგრამ ციცინომ უთხრა, ეს კაბა ძალიან შეუფე-რებელიაო. შავი რომ ჩაიცვას, მონაზონს დაემსგავსება, და მერე არცაა ეს სამეჯლისო კაბა. სჯობს ისევ ცის-ფერით გაწყობილი თეთრი ტრიკოტაჟის „კოფთა“ ჩა-იცვას, ყველა ეუბნება გიხდებაო. მგონი ყველას მართლა ეს კოფთა და ლურჯი აბრეშუმის ქვედაკაბა სჯობს. უბ-რალოდ და ლამაზად იქნება. მაგრამ ფეხსაცმელი კი... ეხ, სხვა გზა არ არის! თუმცა შარშანდელია, სამეჯლი-სოდ არ გამოდგება.

— ჩემი მარაო წაილე, — ეუბნება ბებია, — ასეთ მარაოს ვერსაზ ვერ იშოვი.

2. ე. ფეიგინი

17

მწეონამ გადაიხარხარა. ბებიას მარაო ალტერ ასი
წლის მაინც იქნებაო, გაიფიქრა. ასის ჭრაშე მუშაო.
მეტისაც. რა სასაცილოა ბებია... ბებია მარაო

ნახევარი საათის შემდეგ კი ბებიას უშედეგო დარი-
გებით აღჭურვილი და ძმა სახლიდან გავიდა.

ახლო მოებიდან სიცხით გავარევარებულ ქალაქში სა-
ლამო ჩამოწვა. სიომ დაბერა. მერედა რა სასიამოვნოა,
როცა მაცოცხლებელი ნიავი ივლისში შუბლს გავიგრი-
ლებს.

ქუჩაში ჯერ კიდევ არ ენთო ელექტრონი. სინათლე
პირველად მთაწმინდაზე აკიაფდა - ეს მთა პირველი ეგი-
ბება ცისკარს და დაისს. შუქი ჯერ მთაწმინდაზე აციმ-
ციმდა ალმასის ძეჭვივით, შემდეგ კი ასობით აენთო
ფუნიკულორის პარალიონსა და მის გარშემო, მთაწმინ-
დამ მუქი იასამნისფერი ქურქი წამოიხურა.

— ჩვენი ტრამვაი! — დაიყვირა მზეონამ.

— ტრამვაი! რას ამბობ, მზეონა! პირველ მეჯლისზე
განა ტრამვაით მიდიან! რას იტყვის ბებია?

გიორგიმ ტაქსი გააჩერა.

— აბა, გასწი! — მხიარულად უბრძანა მან შოთერს
და მისამართი უთხრა.

— მეჯლისზე! არის! როგორ წავიდე, მოკლე თუ
შორი გზით?

— შორი გზით, ბედნიერი ყურადღებას არ აქცივს
მრიცხველს, — უდარდელად მიუგო გიორგიმ.

შოთერს გაეცინა და მანქანა გაასრიალა ლამაზ, გა-
ნიერ ხიდზე, რომელზეც უკვი ლანპიონები კიათობდა.
ეს ლამპიონები მზით დაჩრდილულ ყურძნის უშველებელ
შარცვლებს ჰგავდა.

მანქანაში მზეონა მიუუჩდა. რაღაც უჩვეულო დაოდა
შემოაწვა გულზე. რა ვუყოთ მერე! სასიხარულოს ფრაზე გული
დროს ცოტა საშიშიც, როცა ქალიშვილს პატეტიკული ე
ლისზე მიეჩქარება.

4

ვიდრე გიორგი შოთერს ანგარიშს უსწორებდა, მზე-
ონა ძმას გაკაშებდულ კლუბის შესასვლელთან ელოდა.
მას უკვე მოესწრო ორჯერ გადაეკითხა ხელით დაწე-
რილი აფიშა. აფიშაზე მეჯლისს რატომდაც „საცეკვაო
სალამოს“ უწოდებდნენ. ამ ამბავმა მზეონას ერთბაშად
გული აუცრუა და დაალონა. რად დასჭირდა გიორგის
ეს უშნო ხუმრობა! მეჯლისზე დაპატიუა და თურმე უბ-
რალო საცეკვაო სალამოზე კი მოიყვანა. აბა, რას ჰვავს
ეს, თითქოს პატარა აღარ არის მზეონა, მაგრამ მაინც
თურმე რა ადვილი ყოფილა მისი მოტყუება.

— აფაშას არ დაუჯერო, — უთხრა გიორგიმ. — ჩვენ
ასეთი კლუბის გამგე გვყავს: ერთს წერს და მეორეს კი
აკეთებს. თვითონ ნახავ, ისეთი მეჯლისი მოაწყო, რომ
გაოცდები.

... და ეს მართლაც ნამდვილი მეჯლისი იყო. წელან
ტყუილად დაღონდა მზეონა. და-ძმა ქალალდის ფიფქე-
ბით მიმობნეულ მარმარილოს განიერ კიბეზე ავიდნენ,
ხოლო დარბაზში მათ ნარნარად ეგებებოდა ამ სალამოს
ლაშაზი დიასახლისი — მუსიკა. მუსიკა მთლიანად დაეპატ-
რონა ქალიშვილის ამყოლ გულს. მუსიკამ აიტაცა მზეო-
ნა, თითქოს თვალიც აუხვია მას, რომ ყველაფერი მომ-
ხიბლავად მოსჩენებოდა.

კეთილ ფერიას, მუსიკას შეუძლია, როგორც უწოდებენ,
ისე გარდაქმნას ახალგაზრდა!

როგორც უწოდებენ

კლუბი დღეს სტუმრებითაა განედილშესაჭიროება
ყველგან ცეკვავენ: სასტუმროში, დიდ დარბაზში, ლია
აივახზე თუ გაჩალებული ბალის ხეივნებში... ასობით შო-
ლიკვავეა. და ზათ შორის, თუ ჩვენი თვალით განსაზღვ-
რავთ, ლამაზები და ულამაზონიც არიან, მაგრამ მზეო-
ნას ყველა ლამაზებად ეჩვენება. მოდი ჩვენც მზეონას თვა-
ლით ვუცემოთ დღეს ყველაფერს, თორებ რა ეში
ექნება მეჯლისზე ყოფნას.

— მოდი, გოგი, ვიცეკვოთ... რა მოგივიდა!

— ერთი წუთი მოითმინდე, მზეონა, ჯერ ჩამოვიდი-
ლებ ამ ტექნოლოგს, — უთხრა გიორგიმ და ანიშნა მაღალ
სქელ კაცზე, რომელიც ფართო სახეზე გაბრწყინებული
ლიმილით მათკენ მოღიოდა.

— გოგი, მაგას რა უნდა შენგან?

— რალაც ენდომება, — უგულოდ უპასუხა გიორგიმ
და სერიოზულად დაუმატა: — არ მომწონს ეს კაცი. უკვი-
ოჩმოცდაათი წლისაა და იქამდის ცოლი არ უთხოება.
ასეთი პიროვნება...

გიორგიმ აქეთ-იქეთ მიმოიხედა:

— აი აქ დაჯექი, კუთხეში, ახლავე მოვალ, — უთხრა
გიორგიმ და ჩეარი ნაბიჯით წავიდა ორმოცდაათი წლის
საცოლე კაცისკენ.

სანამ მზეონა ძმის ხელზე იყო მიყრდნობილი, თავს
კარგად გრძნობდა, მაგრამ როგორც კი დასკილდა ძმა,
გუნება გაუფუკდა. ამ დროს თითქოს მის ჯიბრზეო, მუ-
სიკაც შეწყდა და რეპროდუქტორიდან პირდაპირ მზეო-

ნას თავზე დაიჭირა ლიკების გამწესებლის ჩახლეჩილიშვილის
ხმამ:

— ვაცხადებთ ათწუთიან შესვენებას! შემოტყოფას უკარისი გადა
ვა იქნება ვალსი.

მოულოდნელობისაგან მზეონა შეკრთა. ამ ხმაზე შე-
მოტრიალდა და სარკეში თავისი თავი დაინახა.

ას, ნერავ ეს სარკე სულაც არ დაენახა, ისეთი სა-
ცოდავი და უშნო გამოანდა მზეონა! ნუთუ ეს ის ქალი-
შვილია, რომელსაც წუთის წინ მეჯლისის სილამაზით
თავბრუდასხმულსა და მუსიკით მოხიბლულს ეგონა, რომ
სალამოს პირველი მზეთუნახავი იყო! ფუ! რა წვრილი,
წვრილი ფეხები ჰქონია. ამ ფეხებით განა შეიძლება
ვალსის ცეკვა, ან ეს ქვედა კაბა რასა ჰგავს. პიონერს
კიდევ ჰო, შეეფერება, მაგრამ ამ კაბით ქალიშვილის
მეჯლისზე წასელა ყოვლად შეუძლებელი იყო. რასა ვგა-
ვარ. ღმერთო ჩემო, რა დაპნეული და სულელური გამო-
მეტყველება მაქვს... — გაუელვა მზეონას, — რა უშნო. რა
ულამაზო ვარ. რისთვის მოვედი, რა მინდოდა აქ? რომ
მასხარად ამიგდონ? როგორ მოატყოდ მუსიკამ! ბოროტ-
მა, საძაგელმა, მატყუარა მუსიკამ. საწყალი გიორგი. ალ-
ბათ ყველა ჩურჩულებს: ეს ვინ აუკიდნია ჩვენს ინეინერ
გიორგის, ნამდვილი გომბიოაო.

მზეონას ახლა ბოლოდ ერთი სურვილილა დაუფლე-
ბოდა. უნდოდა დაეხურა უჩინმაჩინის ქუდი და გაპარუ-
ლიყო აქედან შინ! შინ უნდა წასელა მზეონას. იქ ურ-
ჩევნია, იქ, იმ საძაგელ ფისოსთან და ბუზლუნა ბებიას-
თან.

მზეონა თვალს აცეცებს, ძმას ეძებს, მაგრამ ამ მხია-
რულ ხალხში ცელარც ძპას პოულობს.

რატომ ყველა რალაცნაირად უცქერის მზეონას! რა-
ლაცნაირად უცქერიან და იღიმებიან. იცინუფარდული:
ნეთ,—ამბობს გულში მზეონა, — თქვენ კი გრძელების რატომ
არხეინად და მე...—უცებ მზეონამ თვალი შეასწრო ძმას
და მისკენ გაეჭანა. სთხოვა, რომ შინ წაეყვანა, რომ ის
ალარ დარჩებოდა აქ. მაგრამ ამ დროს გაისმა მუსიკა:
დაუკრეს ვალსი. გიორგიმ დას ხელი გაუწოდა:

— ვიცეკვოთ! რა მოგდის, მზეონა?

— გოგი, არ გრცხვენია ჩემთან ცეკვა? აბა, შემომ-
ხედე, რასა ვგავარ.

— აი, თურმე რაშია საქმე!—გაეცინა გიორგის,—მე
კი წუთის წინ მეუბნებოდნენ, ამ სალამოს შენი და ყვი-
ლას სჯობსო.

— დამცინი, გიორგი,—საცოდავი ხმით წარმოოქვა
მზეონამ,—აბა, ერთი ჩემს ჭორფლს შეხედე.

— ჰმ, მართლაც, რომ ჭორფლია,—გაეხუმრა გიორ-
გი,—საიდან გავიჩნდა? მაგრამ ამაზე შემდეგ ვილაპა-
რაკოთ. ახლა კი ვიცეკვოთ. ყველას ვაჩვენოთ, თუ რას
ნიშნავს ნამდვილი ვალსი.

დიახ, სწორედ ახლა მიხედა მზეონა, თუ რა იყო
ნამდვილი ვალსი. მას წინათაკ ბევრჯერ უცეკვია ამხა-
ნაგებთან, მაგრამ განა იმას ცეკვა ეწოდებოდა... ერთ-
ხელ ციცინოს დღეობაში მზეონამ ერთ მაღალ, მოუხე-
ზავ ბიქთან იცეკვა ვალსი. განა იმას ცეკვა ეთქმოდა!
ის ბიჭი დათვიერთ დაალაჯებდა. წამდაუწუმ ფეხს ფეხ-
ზე აღვამდა. არა, აქამდე თურმე მას არ სცოდნია, რა
იყო ვალსი. ,თურმე რა ნეტარება ყოფილა, როდესაც
ოდნავ ეხები იატაკს და მთელი სხეულით მუსიკას მინ-
დობილი, ცეკვის გრიგალში ტრიალებ.

ისევ დაიპყრო მზეონას მთელი არსება მუსიკაში, ვა
კეთილმა ჯადოსანნა. არა, შენ არ ცრუობდი, უფრო უფრო სულ-
როდესაც ყველაზე ლამაზი მიწოდე. ეს იმ შესძლებელ მარტინ
საჩერებელ მომატყუა. შეშურდა ჩემი სილამაზე და უნდოდა
გული გაეტეხა ჩემთვის.

მუსიკის ძლიერმა ტემპმა ქალიშვილი ისეთ მწვერვა-
ლებზე აიტაცა, რომელსაც ოცნებითაც ვერ შევძედავდა.
ამ მწვერვალიდან ახალგაზრდას თვალწინ ეშლება უსაზღვ-
რო სამყარო, რომელსაც სიყრმე მომავალს უწოდებს.
ამ მწვერვალიდან ისეთი ჩანს მომავალი, როგორც ყო-
ვილ ჩვენგანს ჩვილმეტი წლის ასაჟში ეჩვენებოდა: ნათე
ლი და სევებედნიერი.

მაგრამ განა ვალსის ცეკვისას აწმყოსა და მომავლის,
ოცნებისა და სინამდვილის საზღვარს დაინახავ? თუ
თვალს დახუჭავ (და მერე რა სასიამოვნოა თვალდახუ-
ჭული ციკვა!), ოცნება სინამდვილედ გადაგექცევა. აი
ხედავ, რომ... მოდის ის (ყველაზე მაღლა), ის, შენი სა-
თუთი ოცნების რჩეული, ვინც კერ არ გინახავს, მაგ-
რამ გულით შეგთვისებია და ყველაზე მეტად შეგვარე-
ბია, მის მგზნებარე თვალებში ჩაუქრობელი ცეცხლი ან-
თია, და შენ იცი, რომ ეს ცეცხლი შენ გაგიჩალებია!
მის ზაგეზე ნაზი ლიმილი კროის და შენ იცი, რომ ეს
ლიმილი მხოლოდ შენია. მძლავრად ბორგავს მისი გულ-
მკერდი და შენ იცი, რომ ამ გულ-მკერდში მომწყვდეუ-
ლი პატიოსანი გული მხოლოდ შენთვის ძგერს. ის ხელ-
ში იღებს შენს გამოწვდილ ხელს და მისი გული შენს
გულად გადაიქცევა, შენი სისხლი მის სისხლში აირვა
და ამის შემდეგ მისი ცხოვრების გზა, რაგინდ მძიმე და

ეკლიანიც არ იყოს ის, უკანასკნელ ამოსუნთქვაშდე შენიშვნი
სიცოცხლის გზად გადაიქცევა.

კიდევ ბევრის თქმა შეიძლებოდა ჯერ პირასებრულ
გულის რჩეულთან ქალწულის პირველ შეხვედრაზე, მაგ-
რამ აქ მუსიკა შეწყდა. დამკვრელნი დაიღალნენ საყვირ-
თა ჩაბერვისაგან, დაიქანცნენ მოცეკვავნიც. გოგონამ
თვალი გაახილა და წარმტაცი ზმანება გაქრა, მაგრამ
ქალწულის გულში ხომ ვერ დაისადგურებს სევდა და
ურწმუნოება! მან იცის, რომ დადგება უამი და ვინც
ახლა ის დასტოვა, მასთან სამუდამოდ მოვა.

ტაშის გრიალმა თითქოს გამოაფხიზლა მზეონა.

— ვის უკრავენ ტაშს, გოგი? — ეკითხება გოგონა.

— რასაკვირველია, ჩვენ. ჩვენ ყველაზე კარგიდ ვი-
ცევეთ ვალსი. აბა, ახლა საჩუქარი ვინდა, მზეონა?

მზეონა უკვე მოწონების ტაშით დააჯილდოვეს, წუ-
თის წინ ცის ლაქვარდში მონავარდე მზეონას. გეფიცე-
ბით, მეტი არაფერი უნდოდა თქვენგან. „ზეციდან ჩამო-
სულს ყოველთვის ასე როდი ხვდებიან.

— მე არავითარი საჩუქარი არ მინდა, გოგი, — გაე-
ცინა მზეონას, — მაგრამ ნაყინს კი შევჭამდი, დამკა.

— ნაყინს? მიირთვი, რამდენიც გინდა.

მაგრამ არც ისე ადვილია ბუჟუტთან მისელა. ყვე-
ლის ცხელა და ნაყინს ეტანება. „ნეტავ მარაო წამომე-
ლო, — ნანობს მზეონა, — ბებიას რჩევას თურმე ყური უნ-
და უგდო ხანდახან“.

ახ, რა გემრიელია ნაყინი! ცუდია, რომ ერთი ულუ-
ფის მეტს ვირ შეჭამ; შეუძლებელიცაა და უხერხულიც.

— გრადლობ, გიორგი. შენ ყველაზე კარგი, ყველა-
ზე ძვირფასი ძმა ხარ.

— ნუთუ? — გაელიმა გიორგის, — მაშ ყოველდღე ჩა-
ყინს გიყიდი.

მაგრამ ასე უცებ რა დაემართა გიორგიშვილი ქუთხაუევა
ტუჩებზევე დაკვდა, ციქვის შემდეგ აწითლებული დაწვე-
ბი გაუფითრდა. გიორგიმ დაიკოს ნიდაყვზე ხელი მოუ-
კირა:

— მზეონა, ხედავ?

— არაფერს არ ვხედავ, გიორგი, — შეშინებული ჩურ-
ჩულებს მზეონა. ვერ მიშვდარიყო, რამ ააშფოთა და
აალელვა ძმა. ის ხომ ასეთი მშვიდი და ძლიერია.

— შენ სხვაგან იყურები! ხედავ, აი იმ ბოძთან რომ
ქალიშვილი დგას? არა, თეთრში კი არა, ცისფერ კაბა-
ში. მართალი მითხარი: მოგწონს თუ არა?

— მომწონს, — თავშეუქავებლად უპასუხა მზეონამ. —
ვინ არის ის ქალიშვილი?

— ჩემი მტანჯველი, — გიორგიმ ისეთი კილოთი წარ-
მოთქვა ეს სიტყვები, რომ მზეონას გული შეეკუმშა.
საბრალო გიორგი, ჩემო კარგო ძამიკო, რა დაგემართაო—
გაიფაქრა.

— მაშ რისოვისლა მოგწონს? ჰკიოთხა დაბნეულმა
მზეონამ.

— შენ აი რკინას ჰკიოთხე, ანდამატისკენ რად იწევს,
მერასა მეტითხავ? თვითონაც არა გამეგება.

— შენ... შენ მას მოსწონხარ? — ჰკიოთხა მზეონამ და
შეშფოთებული თან ცდილობდა გარკვეულიყო მდგომა-
რეობაში.

— არ ვიცი, — უპასუხა გიორგიმ და ამოიოხრა.

მზეონამ იგრძნო, რომ მზად იყო შეეძულებინა ეს

ცისფერკაბიანი ქალიშვილი. ნუთუ ქვეყანაზე არიან რე-
ო ქალიშვილები, რომლებსაც შეუძლიათ გერგლირებულა
მოსწონდეთ? ერთი ამას დამიხედეთ. ვითომ რა ისეთი
მზეთუნახავი ბრძანდება. თბილისში ათასია მისი მსგავსი.
არც მაინცადამაინც გემოვნებით აცვია. ცისფერ კაბაში
გამოწყობილა და თავი შოაქვს, ფიქრობდა მზეონა.

მზეონა გულში გრძნობდა, რომ უსამართლო იყო
ქალიშვილის მიმართ, მაგრამ ძნელია სამართლიანად
განსაჯო ის, ვინც შენს ძეირფას ძმას სტანჯავს.

— ალბათ ამაყია,—ზიზღით თქვა მზეონამ.

— არ გაბედო, გესმის! მე თვითონაც ვიცი, რომ
ამაყია. დღეს ყველაფერს ვკითხავ. როგორ მირჩევ,
ვკითხო?

აბა რა უნდა ეპასუხნა მზეონას? ეთქვა: თვითონაც
უნდა ამაყი იყო, გოგი, არაფერიც არ ჰქითხოო. მაგრამ
გიორგის ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, რომ სჯობდა
დათანხმებოდა მას.

— თუ გინდა, ჰქითხე, გოგი...

— დიახ, დიახ... ახლავე მოველაპარაკები, დღეს ან
არასოდეს...

— მე მარტო მტოვებ, გოგი?—ჰქითხა ცრემლმორე-
ულმა მზეონამ. იo ახლა კი მას ნამდვილად სძულდა ის
ცისფერკაბიანი ქალიშვილი.

— მარტო გტოვებ...—დაიბნა გიორგი. კაცია რომ
თქვას, ამაზე მას არც უფიქრია და რასაკვირველია,
არც კი დაფიქრდებოდა, ისე გაიქცეოდა. კიდევ კარგი,
რომ მზეონამ მოაგონა. არა, რა თქმა უნდა, დაიკოს
მარტო არ დასტოვებს. იo თუ გინდა თავისტეხა! გიორ-

გის ბევრი ნაცნობი ჰყავდა, მაგრამ ისინი, ვისჯც შეუძლია ანდოს დაიკო, თითქოს ჯიბრზე გაქრა. უფრო უფრო ანი კაცი კი გარს გვიტრიალებს და არ შეუძლია მარტივა ბა. მაგრამ, არა, — დებს ასეთ კაცებს არ აცნობენ. ნეტავ სად გადაიკარგნენ დანარჩენი ამხანაგები? ეს არის აქ სერგოს მოპერა ოვალი, მაგრამ ისიც გაქრა, თითქოს მიწამ ჩაყლაპაო. მევობრებიც ამას ჰქვია; როცა დაგჭირდება, სანთლითაც ვერ იპოვნი! — ფიქრობდა გიორგი.

დრო გადის და გიორგის უკვე კიდეც ეშინია გაიხელოს იქით, საღაც ცისფერკაბიანი ქალიშვილი ეგულება. იქ რომ აღარ დაუხვდეს: „ნეტავი არ წავიდეს... ნეტავ არ წავიდეს“, — ნატრობს გიორგი.

— რევაზ! — დაიყირა გახარებულმა გიორგიმ, — გამარჯვობა, ძვირფასო!

ისინი სულ რამდენიმე საათის შინ დაშორდნენ ერთმანეთს, მაგრამ გიორგი გაეკვირვებულ რევაზს ხელს ართმევს ისე, როგორც დიდი ხნის უნახავს.

— აი, გაიცანი ჩემი დაიკო. ეს კი რევაზ შამათავაა. ჩენი სამქროს მშვენება და სიამაყე. გახსოვს, მზეონა, მე რომ გიამბე რევაზზე?

მზეონას არასღროს არაფერი სმენია რევაზ შამათავაზე, მაგრამ ეტყობა, ახლა გიორგის ყველაფერი დაავიწყდა. ერთს ლაპარაკობს და სხვას ფიქრობს: რაღაც დაფანტულად იცქირება. კაცს ხელს ართმევს, თვითონ კი განზე იხედება. აღარც მზეონა არსებობს მისთვის... თითქოს აქ არც იდგეს.

გიორგიმ კიდევ რაღაც ილაპარაკა რევაზზე, ხუმრო.

ბაც სცადა, მაგრამ არ გამოუვიდა, დამნაშავესავიჯ გა-
ლიმა და ბოლიში ითხოვა:

რეზონაციული

— მე ცოტა ხნით დაგტოვებ, მზეონა. ჰქონდეთ
გი ბიჭია. არ მოგაწყენ.

5

მზეონა არც კი უმზერს მას, ვისთანაც ძხამ დასტო-
ვა. მთელი მისი ყურადღება გიორგისკენ არის მიპყრო-
ბილი, აი, თურმე როგორი ყოფილა შეყვარებული ადა-
ბიანი შესაშურიც არაფერია. თურმე ძალიან მოსაწყენი
ყოფილა, როდესაც შეყვარებულს შორიდან უთვალ-
თვალებ.

მზეონა ძხას თვალს არ აშორებდა: „გაშალე ფრთე-
ბი, გიორგი! ამაყი და გონიერი იყავი, ძმაო, გესმის!
არასდროს არ დაიმკირო თავი იმ უცხო ქალის წინა-
შე!“ — ფიქრით ეველრებოდა ძხას მზეონა. როგორც
ჩანს, გიორგის გული ვერ გრძნობდა დის მოწოდებას,
მაგრამ აქ უკვე ვერას გააჭუობ, ძვირფასო მზეონა!

გიორგი ცისფერკაბიან ქალიშვილს მიუახლოვდა,
მიესალმა, რაღაც უახრა, ქალიშვილს გაეცინა. მშეიდად
და თამაშად, დიასახლისივით ხელკავი გამოსდო მის ძმას
და საღლაც წაიყვანა... ალბათ ბალში. ეჭ, მზეონამ, რო-
გორც ჩანს, ამასაც უნდა გაუძლოს. დადექ და უყურე
როგორ მიპყავს ვილაც უცხო, უსიამოვნო ქალიშვილს
შენი ძმა. უნდა მოითბინო, რას იზამ... ალბათ ასეთია
ცხოვრება.

მზეონამ პირველად შეხედა იმ ახალგაზრდას, ვისთა-

ნაც ძმამ დასტოვან არა უშავს რა — კარგი კაბუკის! /
გიორგიზე ორი გოჯით მაღალი იქნება, მხარ ბეჭერიშვილი
დავეს მიუგავს. თუმცა სახე სრულიად ბავშვურისა აქეცია
ეტყობა. ჯერ სახე არ გაუპარსავს. ან რა ვაეკაცის სა-
ქმედა ასეთი ხშირი და გრძელი წამწამები?..

მზეონამ წამწამებს შეხედა და უცებ ახალგაზრდა ვაეს
წაბლისფერ მკაცრ თეალებში ჩახედა. გაიფიქრა: მე მას
არ მოვწონვარ. მოწყენილია და ფიქრობს, როგორ ვა-
შექცესო... მაგრამ ვერ მივართვი? ჯერ გავაწვალებ და
შემდეგ ჩიტყვი: ნშვიდობით! გავაწვალებ? რატომ უნდა
გავაწვალო? აბა, ცისფერკაბიანი ქალიშვილი! აბა, ის
რატომ აწვალებს ჩემს ძმას?..

— რა უნდა ვაკეთოთ ახლა? — ჰეითხა მზეონამ.

ეს ალბათ გამოწვევის კილოთი უთხრა. მაგრამ რე-
გაზს ეპერ არ ეპარება თავის ახალ ნაცნობის ვერაგ გან-
ზრახვებში და მხრებს იჩეჩს.

— თქვენ ალბათ ცეკვავთ? — კელავ ჰეითხა მზეონამ.
რეგაზმა თავი დაუქნია.

— ლაპარაკი იციო?

— საათში მხოლოდ ათ სიტყვას ვაშბობ.

„ერთი ამას დამიხედვეთ, რა უკარებაა!“ — გაიფიქრა
გოგონამ.

— მიაშბეთ საინტერესო რამ.

— აი სიტყვებს დავაგროვებ და გიაშბობთ. დამიცდით?

— სრულიადაც არ მინდა მოწყენა, სჯობია ვიცე კოთ.

— როგორც გნებავთ.

ორკესტრმა „პოლკა“ დაუკრა. მზეონას მოსწონს ეს
ციკვა; მხიარული, ალფროთოვანებული, მგზნებარე, მაგ-

რამ რა საშინლად ცეკვავს ეს რევაზი! ცეკვის მუხლები
თითქოს უსიამოვნო, უინტერესო საქმეს უსრულებელი
ეს რა წამებაა! იქნებ საერთოდ კარგი ჭყაფა-აღაუზუშვილი
მასთან მეგობრობა შეუძლებელია. ისე მოგწყინდება,
რომ სულს დალევ.

- გეტუობათ, ცეკვის ცუდი მასწავლებელი გყოლიათ.
- შეიძლება,—დაეთანხმა რევაზი.
- არ გინდათ ცეკვა?
- რატომაც არა...
- მე კი არ მინდა.
- როგორც გნებავთ.

ისინი წრიდან ერთმანეთის უკმაყოფილონი გამოვი-
დნენ. მეჯლისის გამრიგებელი სტუმრებს სთავაზობს
ნომრებს „ფოსტის“ სათამაშოდ. მზეონამ ამოირჩია
ოთხკუთხა კარტონი, რომელზეც ეწერა „17“—რამდენი
წლისაც თვითონ იყო. რევაზმა რატომლაც ოცდაცამე-
ტი ნომერი აიღო.

- უფრთხილდით, თქვენ ოცდაცამეტი უბედურება
მოგელით.
- დასაწყისისათვის ერთიც მეყოფა,—გაიღიმა რე-
ვაზმა.

„აი თურმე რაში ყოფილა საქმე!—გაუელვა მზეო-
ნას,—მე ამისთვის უბედურება ვყოფილვარ. რას იზამ,
მოითხინე და ეწამე, შე ყოყლოჩინა, შენა“...

კედელთან მდგარ სავარძელში დასხლნენ და დიდხანს
სდუმდნენ. მობეზრებოდათ ერთმანეთი და ორივე ნატ-
რობდა, როგორმე ჩქარა მოსულიყო გიორგი და დაე-
შორებინა ისინი.

წერილებით დატვირთულმა თბახუცუკა ზიქუნიძე, „ფოსტალიონმა“, ორჯერ ჩაუარა მათ. ურთიერთულები

— ჩვენ არ გვწერენ? — ჰკითხა მზეონამ. შესჭრებულება ვისტეს გამოელაპარაკოს, აბა მთელი სალაშო მუნჯივით ხომ არ იჯდება!

მაგრამ ფოსტალიონს სალაპარაკოდ არ სცალია. იგი მოკლედ უპასუხებს მზეონას, როგორც ეს ყველა ფოსტალიონმა იცის:

— გწერენ, მაგრამ ჯერ არ გზავნიან.

„მწერენ!.. არავინაც არა მწერს, აქ მე არავის არ ვესაჭიროები“, — ფიქრობს მზეონა. მზეონას უკვე აღარ სჯერა ლამაზი ზღაპრისა.

— ი თქვენი წერილი, — შორიდანვე უყვირის ფოსტალიონი და სამკუთხედად დაკეცილ ბარათს მოაფრიალებს.

წინდაწინ თურმე არ უნდა იდარდო! როგორც ჩანს, ვიღაც მაინც ფიქრობდა მზეონაზე.

მზეონამ გაიწია წერილისაკენ, მაგრამ ფოსტალიონმა შრდილობიანად აიცილა მისი ხელი.

— ბოდიში, ეს წერილი ოცდაცეცამეტე ნომრისაა.

„ოცდაცამეტი უბედურება“ მოაგონდა მზეონას თავისი შრარე ხუმრობა და ისე იგრძნო თავი, თითქოს ოცდაცამეტი უბედურება მას დასტურომოდა, რატომ? მას ხომ არ ჩაუდენია და არც ვისმესთვის უსურვებია ბოროტება?

რევაზშა წერილი არ წაიკითხა, დაკმუქნა და ჯიბე ში ჩაიდო. ამ მოქმედებამ სულ დააბნია მზეონა. „ყოყლობინა, ნამდვილი ყოყლობინა. ვითომ თავაზიანობს“, —

უსიამოვნოდ გაიფიქრა მან. უცებ მზეონას ძრუნდა
მთელი ეს ფოსტა, რაც ამ მომაბეზრებების შემდეგ და
დაგროვდა, მხოლოდ მას მიეღო. აბა, მარინა წარინავდა,
რა გუნებაზეც დადგებოდა რევაზი, მაგრამ ქვეყნად
სასწაულები არ ხდება, და განსაკუთრებით, სასწაულს
ვერ მოახდენს ისეთი უშინოვნობის როგორიც მე ვაჩ,—
ფიქრობდა ის.

ასე განშეიმობილ მზეონას აღარც კი ესიამოვნა, რო-
დესაც ფოსტალიონში სამი ბარათი ერთად მიუტანა.
ერთი ბარათი საშანელი სულელური იყო, — ათი კით-
ხვის ნიშანი და უაწრავი წერტილი, თითქოს ბუზების
ნაკვალევიაო. მზეონამ ბარათი ხმამალლა წაიკითხა. რა-
ტომდაც მას უნდოდა რევაზისათვის რითიმე ეწყენი-
ნებინა.

— სასაკილოა, არა? — შეეკითხა იგი და გაეცინა.

მაგრამ რევაზს არც კი გაელიმა.

— რაღაც სისულელეა, — თქვა მან და მზეონაც გა-
ჩუმდა. მართლადა რა საჭიროა სიცილი, თუ სასაკი-
ლო არაფერია.

მეორე ბარათი კი ხმამალლა აღარ წაიკითხა მზეო-
ნამ. ოჯახის საიდუმლოება დაიცვა, ბარათში გიორგი
აღფრთოვანებით სწერდა ცისფერკაბიან ქალიშვილზე.
რა ბედი აქვს ზოგს. მართლაცდა, ცისფერ კაბაში გა-
მოწყობილი ის საძაგელი გოგო ამ სიტყვების ლირსი
სულაც არ იყო. როდესაც მესამე ბარათი გადაიკითხა,
მზეონამ გამარჯვებული სახით გადახედა რევაზს. ეს
ბარათი პირადად მას ეკუთვნოდა.

„მე მინდა თქვენი გაცნობა, მაგრამ არ ვიცი, შესა-

ძლებელია თუ არა. ეერ ვბედავ საცეკვაოდ თქვენს გა-
მოწვევას, უარი რომ მითხრათ? შემიძლია იმედზე წერტუშება
ნიო, რომ თანახმა იქნებით? თუ თანახმა ხუმცურუება
დააქნიეთ და მე მოვალ".

თანახმა იქნება თუ არა! ლმერთო ჩემო, რა თქმა
უნდა, თანახმა იქნება! პირდაპირ აღარ შეუძლია ჯდომა
ამ გაუცინარ ჭაბუქთან, რომლის გულგრილობამ ლაშის
გაჰყინოს. გოგონას არც კი შეუხედავს რევაზისათვის,
ისე დააქნია თავი თანხმობის ნიშნად.

6

და აი სწორედ ამ დროს ზღაპრისა თუ სიზმრის
მსგავსი რამ მოხდა. ორკესტრში დაუკრა ვალსის შესა-
ვალი და მუსიკის პირველსავე აკორდზე მის წინ წარ-
მოსდგა არტილერიის ახალგაზრდა ლეიტენანტი. ეს ისე
სწრაფად და მოულოდნელად მოხდა, გეგონებოდათ,
ოფიცერი ან იატაკიდან ამოძერა ანდა ციდან ჩამოეშ-
ვაო; უფრო კი მგონი ციდან ჩამოეშვა. რადგან მზეო-
ნამ უცებ თვალიც კი მოხუჭა, ისე ელვარებდა და ბრწყი-
ნავდა ლეიტენანტი. ბრწყინავდა მისი დეზებიანი კრი-
ალა ჩექმები, გაქათქათებულ კიტელზე დაბნეული
ბრწყინალა ღილები, მოოქრული სამხრეები და მკერდ-
ზე-ვერცხლის მედალი. მაგრამ ყველაზე ძლიერ ბრწყი-
ნავდნენ ლეიტენანტის თვალები, როდესაც ისინი გან-
ცვითოდნებულ გოგონას შეეფეონენ. მზეონამ ვერ აიტანა
ეს მზერა და დაბნეულმა თავი დახარა. ნუთუ ეს გაბრ-
წყინებული ლეიტენანტი მასთან მოვიდა? არა, ეს ყოვ-
3. ე. ფეიგინი

ლად შეუძლებელია. აქ რაღაც გაუგებრობაა. ხოლო ამ ფიქრთა უკუმყრელმა გულმა უჩურჩეულა: ჭრები ჭრები არის შეცდომა, მხოლოდ შენთან მოვიდა სმიტშილისტება შენთან და შენი გულისთვის, და შენც უნდა იცევო მასთან. შენ ხომ არაფერი გსურს უფრო ძლიერად, ვიდრე მასთან ყოფნა, მასთან დარჩენა. აბა ვის ძალუძა წინ აღუდგეს ქალწულის გულის ხმას, რომელიც კარნახობს და ბრძანებლობს ისე, თითქოს უკვე იცის, რაც ჯერ ქვეყნად არავინ უწყის.

— ნებას მომცემთ? — ოდნავ თავს ხრის ოფიცერი და ეკითხება რევაზს.

— მე მეკითხებით? — გაიოცა რევაზმა.

ოფიცერმა კვლავ თავი დახარა. რევაზმა მხრები აიჩინა.

— თუ ამას სურს, იცეკვოს.

„რა ხეპრეა, — აღშფოთდა მზეონა, — თავაზიანი კაცი არასღროს არ იტყვის, თუ ამას სურსო, ვითომ სახელი არ მერქვას“.

მზეონა წამოდგა, ოდნავ შემკრთალმა, თითქოს ეშინია, არ დაეწვასო, ლეიტენანტს ბრკყვიალა სამხრეზე დაადო ხელი. ოფიცერი ლაპაზად და მსუბუქად ცეკვავს და ვალსიც ისე კარგია, მზეონას საყვარელი ვალსი. მაგრამ ის გრძნობა, რაც დღეს პირველი ცეკვის დროს განიკადა, აღარ გამეორებულა. მუსიკამ თითქოს ფრთა მეასხა მზეონას; აი, საცაა აიტაცემს და შორს, შორს ვააფრენს მას, მაგრამ ლეიტენანტი მუსიკაზე უფრო ძლიერია. არ უშვებს მზეონას. ვოგონა ამეამად მხოლოდ ლეიტენანტზე ფიქრობს და სურს მხოლოდ მას შეჰყუ-

რებდეს. ნეტავ ეინ არის და რისთვის სწადია მისი
გაცნობა? ან იქნებ ეს ხუმრობა იყო?!

მზეონამ ჩუმად აათვალიერა ოფიცერი. რატოდაც
ეცნო მისი სახე. ეს სახე მას სიზმარშიც არ მოლანდე-
ბია, მაგრამ მაინც ნაცნობი სახე აქვს. ძალიან ნაცნობი.

— მე მგონი, რომ გიცნობთ,—გაუბედავად უთხრა
მზეონამ.

— დიდი ხანია, რაც მიცნობთ,—დაუდასტურა ლეი-
ტენანტმა.—მეც, მზეონა, თქვენ დიდი ხანია გიცნობთ...

— თქვენ ვასო არა ხართ?—წამოიძახა გაკვირვებულ-
მა მზეონამ.—უწინ ჩვენ ერთ ქუჩაზე ვცხოვრობდით.

— დაახ, სწორედ ასე იყო.

— რატომ მაშინვე არ მითხარით?

— იმედი მქონდა, რომ თვითონ მიცნობდით.

— აბა როგორ უნდა მეცნეთ... მაშინ თქვენ მოკ-
ლე შერვალში დარბოდით,—დაბნეული მზეონა წუთით
დაჩუმდა: ეს რა სისულელე წამომცდა, ეწყინებაო,
გაიფიქრა.

მაგრამ ლეიტენანტს არ სწყენია. პირიქით, კეთილმა
ლიმილმა გადაურბინა სახეზე და მზეონას ფიქრი დამ-
თვრა:

— ახლა კი ოფიცერის ბრიჯი და დეზებიანი ჩექმა
მაცეია.

— დეზები... ყველაზე სასაცილო სწორედ ეს დეზე-
ბია,—გაეცინა მზეონას.

— ყველაზე სასაცილო? რატომ?—კვლავ ლიმილით
ჰკითხა ვასომ.

— რამდენადაც მახსოვეს, თქვენ რუდამ ფეხშიშველი
დარბოდით.

— აა, — შუბლი შეიტყვენა ლეიტენანტმა, მაგრამ
მზეონა როდი ამჩნევდა, რომ ლეიტენანტს მდებრუსაც კუნი
ბი არ ევაშნიკებოდა. მას ეცინებოდა, რადგან უკუნისა
მანეთს უდარებდა სრულიად განსხვავებულ ორ ადა-
მიანს ბრწყინვალე ლეიტენანტსა და ქალაქის განაპი-
რას მცხოვრებ ფეხშიშველა ბიჭუნას, სულ რომ ემტერე-
ბოდა და გასაქანს არ აძლევდა მზეონას.

— აი მესმის შეხვედრა, — თქვა მზეონამ, — მოგონე-
ბისაც კი მეშინია, რამდენჯერ გიშვალებიგართ. ყოველ-
დღე მუჯლუგუნები, ფეხის წამოდება, ჩქმეტა, საკვირვე-
ლია, ან კი როგორ გამეზარდა ნაწნავები, მაშინ თქვენ
განსაკუთრებით არ მოგწონდათ ჩემი თმა.

— არ ლირს წარსულის მოგონება, — უპასუხა დაბნე-
ულმა ლეიტენანტმა.

— რატომაც არ ლირს, — ალიზიანებს მზეონა, — ძა-
ლიან კარგი მოსაგონარია. მე მხოლოდ მწყინს, რომ
რამდენიმე ჩალურჯებული ადგილი არ დამრჩა ტანზე,
ასე ვთქვათ სამუდამო სახსოვრად.

ვასოს ნამდვილად გაუფუჭდა ხასიათი. მზეონას კი
უხაროდა. სწორედ ამას ჰქვია შურისძიება!

— მე დამნაშავე ვარ თქვენ წინაშე, — ჩუმი ხმით წარ-
მოთქვა ვასომ, — მაგრამ ისიც მოიგონეთ, თუ ჩემი ბორო-
ტებანი რა ერთბაშად შეწყდა...

— მახსოებ... როგორ შეიძლება არ მახსოვდეს. ჩემ-
და ხასიამოვნოდ ერთ მშვენიერ დღეს თქვენ გაქრით.
ალბათ სხვაგან გადახვედით.

— ო, არა, არსადაც არ გადაესულვარ. მე მხოლოდ
თქვენდამი შევიცვალე განწყობილება.



— არ შესძის.

— ახლავე გაიგებთ. გახსოვთ ერთხელ ეჭვის მიერა რომ ლაპარაკობდნენ თქვენი მამის საფრონტო ვძირობის შესახებ?..

— რასაკვირველია, მახსოვს, მაგრამ ეს ამბავი აქ რა შუაშია...

— იმ შუაშია, რომ შემჩრევა... მართლა შემჩრევა... კაცი ფრონტზეა და მის შვილს კი როგორ ვაწვალებ შეთქი. და იმ დღიდან გადავწყვიტე... აბა, როგორ გითხრათ... გადავწყვიტე ჩემი მფარველობის ქვეშ ამეცანეთ.

— აი, თურმე რაში ყოფილა საქმე! — ესეც გაუკვირდა მზეონას. მაგრამ, უცებ ეს რა მოხდა! რატომ ჩამოიქცა ეს ჭერი ჭალიანად, იატაკიც დატრიალდა და ფეხქვეშ გაუსხლტა! ლეიტენანტის ლონიერმა ხელმა დროშე შეაკავა მზეონა.

— რა დაგემართათ? ცუდად გახდით?

— თვითონაც არ ვიცი. ალბათ ძალიან სწრაფად ვტრიალებდით და სულ ერთ მხარეს... მოდით, ახლა მეორე მხარეს დავტრიალდეთ. ვიცეკვოთ, ვიცეკვოთ... თავბრუ აღარ მესხმის. თქვენ კი მიამბეთ... მიამბეთ, როგორ მფარველობდით...

— რაღა ვიამბოთ! მგონი ყველაფერი გითხარით!

— მაგრამ მე გთხოვთ, ძალიან გთხოვთ... მე ხომ არაფერი არ ვიცი.

— გემორჩილებით, მაგრამ გარწმუნებთ, რომ მაინც დამაინც საინტერესო არაფერია. როცა თქვენ სკოლაში მიღიოდით, მე უჩუმრად მაგაცილებდით და მლეთის ქუჩის ბიჭებისაგან გიცავდით.

- ის ბიჭები ყველაზე დიდი მტრები იყვნენ ჩემი...
 — თქვენ მათ მუდამ აღიზიანებდით, — გუჯურული ტენანტმა.
- გალიზიანებდი?
- და მერე როგორ! რა ულმერთოდ იღიზიანებდით!
- ახლა მომაგონდა, მგონი რაღაცემს ვეუბნებოდი.
- ეუბნებოდით, ეუბნებოდით და მერე როგორ აცოვებდით. ერთხელ მათ გადაწყვრტეს დაგხეედროდნენ და მაგრად ეცემეთ. მე ეს გავიგე... და ბრძოლა ჩემ თავზე მივიღე...
- შემდეგ? რა მოხდა შემდეგ? — ჰკითხა აღელვებულმა მზეონამ, თითქოს ეს აძავი აგერ ახლა მოხდა და არა დიდი ხნის წინათო.
- მაშინ მე მაგრად მიმბეგვეს.
- მერწმუნეთ, მე რომ მცოდნოდა...
- მაგრამ ეს არაფერი, — დაააშვიდა ლეიტენანტმა. — იმ დღესვე ჩვენი უბნის ბიჭებისაგან მებრძოლი რაზმი შევადგინეთ და მლეთის ქუჩის ბიჭებს კუდით ქვა ვასროლინეთ. გეფიცებით, ეს შესანიშნავი რაზმი იყო. ჩენ შესანიშნავად გიცავდით ყველა უსიამოვნებისაგან. აბა მოიგონეთ გეოგრაფიის წიგნის ამბავი.
- არაფერი მახსოვეს.
- ნუთუ არ გახსოვთ? თქვენ წიგნი არ გქონდათ, გაქვეთილი ვერ ისწავლეთ და ორიანს მიიღებდით, წიგნი ლამე საიდუმლო ბარათით შემოვიგდეს.
- თქვენ იყავით?



- ჩვენ.
 — შემაც ჩუმად ლამე თქვენ დააპერ? ესროვანული
 — ჩვენ.
 — წყალიც თქვენ მოგქონდათ, როდესაც წყალსადე-
 ნი გაფუჭდა?
 — ისიც ჩვენ მოგვქონდა.
 — ჩვენ კი ვფიქრობდით... ვფიქრობდით და არა-
 ფერი გეესმოდა და გვიკვირდა. ოჭ, როგორ მინდა ყვე-
 ლა ამ სიკეთისათვის გადაგეოცნოთ.
 მზისაგან დამწვარ ლოყებზე ლეიტენანტს ალური
 აედინა. როგორც ეტყობოდა, ამ წარსულ საგმირო და-
 მსახურებათა ჯილდოს ის დიდი სიამოვნებით მიიღებ-
 და. მზეონაც გაწითლდა. რასაკვირველია, ის ახლა ლეი-
 ტენანტს არ გადაკოცნიდა, მაგრამ იმ ფეხშიშველა ბი-
 ჭუნას კი მართლა სიამოვნებით აკოცებდა...
 — ალბათ ძალიან სასიამოვნოა ვისმეს იცავდე,—
 ძლივს დასძლია უხერხულობა დაბნეულმა მზეონამ.
 — დიახ, ეს ძალიან სასიხარულოა, — დაუდასტურა
 ვასომ.
 — ალბათ მაშინ გადაწყვიტეთ, რომ სამხედრო გა-
 მხდარიყავით?
 — შგონი მაშინ.
 მზეონას ეწყინა, ცეკვა რომ დამთავრდა. შერედა
 რა საინტერესო საუბარი ჰქონდა და რა უჩვეულო შე-
 ხედრა.
 — კიდევ ვიცეკვებთ? — ჰქითხა ლეიტენანტმა.
 — რა თქმა უნდა,— მზეონას არ უნდოდა ლეიტენან-
 ტის მოშორება, მაგრამ მან იგი რევაზს მიუყვანა, უბ-
 მოდ თავი დახარა და ისე განშორდა, თითქოს ისა და



მზეონა უცნობნი ყოფილიყვნენ ერთმანეთშე კუტურული რამ ისინი ხომ არ იყვნენ უცხონი! რა თქმის უწყებული ყოფილი ჩაშ რატომ წავიდა?

მზეონამ უცებ მოისაზრა: ვასოს ალბათ რევაზი მისი მახლობელი მეგობარი ჰგონია. ოხ, რა ჭირად გადამეკიდა ეს რევაზი!

ცეკვას ცეკვა მოსდევს. მზეონა ელის, რომ აი, საღაცაა ვასო კიდევ მოვა, მაგრამ ის არც მოსულა მზეონასთან და არც სხვასთან უცეკვია. იქნებ მზეონამაც უარი თქვას ცეკვაზე. მაგრამ უარის თქმა ძნელია. მზეონას განუწყვეტლივ იწვევენ მხიარული და ლამაზი ჭაბუკები. არასდროს ის ასე მხიარული არ ყოფილა.

— რატომ არ ცეკვავთ? — მიმართა მზეონამ რევაზს, რომელიც სავარძელს მიჰყეროდა და მოთმინებით ელოდა.

— სიბერის ბრალია, — მიუგო რევაზმა.

— რას იზამ! უწვერულვაშო მოხუცებსაც შეხვდება კაცი, — უპასუხა მზეონამ. ან კი რა ესაქმებოდა მას რევაზთან! ეისაც როგორ სურს, ისე ერთობა. რაც შეეხება მზეონას, მას მხიარულება სურს და მზადაა დილამდე იცეკვოს, მაგრამ ნაჩნარი მაზურკის შემდეგ როდესაც მზეონა უსიამოვნო სავარძელს დაუბრუნდა, რევაზი წამოდგა, გოგონას საათზე მიუთითა და განუცხადა:

— უკვე თერთმეტია, უნდა წავიდე.

— მშვიდობით, ამხანაგო რევაზ, — მხიარულად მიუკო გოგონამ და ხელი გაუწოდა.

რევაზმა უარის ნიშნად თავი გააქნია.

— თქვენ ჩემთან ერთად უნდა წამოხვიდეთ.



- ოქვენთან ერთად? — გაოცდა მზეონა.
- გიორგიმ მთხოვა, რომ სახლამდე მიგაცირული
- ეს ოქვენ მოიგონეთ, გიორგი ამჟამად მუშავეა
იტყოდა!

რევაზი გაფიბრდა:

— მე... იცით, რა გითხრათ! - გაბრაზდა რევაზი.
მაგრამ თავი შეიკავა და უკვე დამშვიდებულმა განა-
გრძო: — როდესაც ცეკვავდით, გიორგი ჩემთან მოვიდა
და მთხოვა. შეგიძლიათ ჰქითხოთ, თუ არ გჯერათ.

მზეონა მიხვდა: როგორც არ უნდა სდომოდა აქ
დარჩენა, სხვა გზა არ ჰქონდა. ის ხომ ყოველთვის უჯე-
რებდა ძმას.

— ჯერ ხომ ადრეა, ოქვენც ხვალ დასვენების დღე
გაქვთ.

— დილიდანვე ახალგაზრდების კვირეული გვიწყება.
ბოდიშს ვიხდი, მაგრამ უნდა წავიდე.

— რაკი ასეა, წავიდეთ, — ამოოხვრით დაეთანხმა მზე-
ონა. მაგრამ ამ დროს დირიქორმა პატარა ჯოხი ზევით
ასწია და მუსიკოსებმაც საყვირები აახმიანეს. სწორედ
ამ დროს ხალხს გამოეყო ლეიტენანტი ქორქია და დე-
ზების წეარუნით მზეონასაკენ წამოვიდა. აი ახლა ის
ციქვაში გამოიწვევს მზეონას!.. მერედა, როგორ ელო-
და ამ მომენტს გოგონა. ნუთუ ახლა უნდა დასტოვოს
ეს სალაშო და უნდა წავიდეს?

— მე გთხოვთ... — შეევედრა რევაზს მზეონა და შე-
ეცადა მისთვის თვალებში ჩაეხედა, მაგრამ ვერ შესძლო,
რაღან ვაჟის თვალებს გრძელი და ხშირი წამწამები

ჭარავდა, — მალიან გთხოვთ, ათი წუთი სადოსტო...
მხოლოდ ერთხელ ვიცეკვის.

— კარგი, — უკმაყოფილოდ უპასუხა ბეჭვაზე.
ეს, რა მოსაწყენი, რა უგემური ვალსია.
— მოულოდნელად შევხვდით და ისევ მოულოდნე-
ლად გშორდებით ერთმანეთს, — ნალვლიანად უთხრა
ვასომ.

— არა, ჩვენ კიდევ შევხვდებით, — არწმუნებს მზეო-
ნა, მაგრამ არ ეუბნება სად და როდის შეხვდებიან ერთ-
მანეთს; თუმცა ვასოს არც უკითხავს. ამის შესახებ არ
ეყითხებიან ხოლმე.

— შეიძლება სახლამდის გაგაცილოთ?

— არა, — ამოიოხრა მზეონამ და საჩქაროდ აუხსნა,
თუ რატომ არ შეიძლებოდა მისი გაცილება, მას უნდა
გაიგოს, ვასოს სჯერია თუ არა მისი. ვასო ისეთი შოწყე-
ნილია... — ნახვამდის, — უთხრა ვასოს მზეონამ.

— მაშ, ნახვამდის? — ჰკითხა ვასომ.

— დიახ, ნახვამდის.

— გმადლობო, — უპასუხა ლეიტენანტმა და ისე გაუ-
ლიმა, თითქოს დიდი ხნის ნანატრი აუსრულდაო.

მზეონა და რევაზი უხმოდ მიდიოდნენ ქუჩაში. —
„თითქო ტუსალი ვიყო და ცხენოსანი რაზმი მომაცი-
ლებდეს“, — ნალვლიანად ფიქრობდა მზეონა. ის უკმაყო-
ფილო იყო რევაზზე. სალაშო გაუფუჭა, ამას არასდროს

არ აპატიებს. ძმაზეც უკმაყოფილოა, იმ ცისფეროვანიახ/ქალიშვილზეც, როგორც ყველაზე მეტიცატრადიტიული უძღვის იმაში, რომ მზეონა ძალით წამოიყონელურებული სიდან; მაგრამ თბილისის ღამე ისე მომხიბლავია, რომ არაფერი დაგიკარგავს, ძვირფასო ვოგონა! აბა ერთი გახედე, რა ციმციმა ნათურებით გეგებება თბილისი.

...ქარხნის კლუბი მაღლობზეა გაშენებული, და როდესაც ახალგაზრდები ქუჩაში გამოდიან, ხავერდივით რბილი ცა ისე ახლო ეწევნებათ, თითქოს მსხველი კაშკაშა ვარსკვლავები თავს დაჭნათინ, და თუ მოისურვეს, მოსწყვეტენ კიდეც. ქვემოთ კი გადაშლილია ჯირკიდევ ფხიზელი ქალაქი. ელექტრონის ვარსკვლავები ისე ბრწყინვავენ, თითქოს ცა ჩამოწეულა დედამიწის შესამკობად და ადამიანთა სასიხარულოდო.

ასეთი ცის ქვეშ და ასეთ ქალაქში ქალიშვილის დარდი მაღლ იფანტება!

— სანაპიროზე ჩავიდეთ, იქიდან უფრო ახლოა, — უთხრა რევაზმა.

— ჩემთვის სულ ერთია.

სანაპიროზე არავინ არის. ძირს, გრანიტში ჩასმული მტკვარი უკმაყოფილოდ მიაქანებს ტალღებს.

— რა ძალა მოუკრებია მტკვარს, — თქვა რევაზმა, — გინდათ, გადავიხედოთ?

მოაჯირზე დაყრდნობილნი წყალს ჩასცერიან.

— ზღვის ჰაერს გრძნობთ? — ჰკითხა მზეონამ.

— ალბათ კასპიის ზღვიდან უბერავს ქარი.

— რა ჩქარა მირბის მტკვარი! შეხეთ, ცაზე რამდენი ვარსკვლავია და არც ერთის ანარეკლი არ არის წყალში.

— საერთოდ ვარსკვლავები წყალში არ ირეკლებიაზ
— არაფერიც. მე წამიკითხავს... მხოლოდ განათებული
სოფს ვის ლექსებში. ამ ცოტა ხნის წინათ წავიკითხე.

— პოეტები სილამაზისათვის რას არ მოიგონებენ.
ამა, თქვენ თვითონ შეამოწმეთ.

მაგრამ მზეონაც არ უთმობს:

— არა, არა, ნუ მექამათებით, რევაზ. ვარსკვლავები,
რასაკვირველია, წყალში ირეკლებიან. იმასაც ამბობენ:
თვი რომ გადასწიო და ცას შეხედო, თვალებშიც კი
ჩნდება ანარეკლიო.

— არიან ვარსკვლავებივით მოციმციმე თვალებიც.

— არიან ხოლმე, — დაეთანხმა მზეონა. — აი ჩემს ამხა-
ნაგს ციცინოს დიდი შავი თვალები აქვს, ვარსკვლავე-
ბივით უბრწყინავს. მე ძალიან მიყვარს შავი თვალები.
თქვენ?

— ფერი არაფერ შუაშია.

— მე კი სამწუხაროდ ცისფერი თვალები მაქვს.
ნამდვილი ცისფერი.

რევაზი სდუმდა.

— იცით, მე რათა მაქვს ასეთი ცისფერი თვალები? —
განაგრძო მზეონამ, მას მოსწონდა ეს საუბარი. თურმე
რევაზი არც ისეთი მოსაწყენი ყოფილა, როგორც ჩანდა. —
მამის მხრივ ჩემი წინაპრები მთიულები ყოფილან, იმათ
მუდამ ცისფერ მთებში უცხოვრიათ. გესმით, ცისფერი
ცის ქვეშ, ცისფერ თოვლსა და ყინულში.

— ლამაზია, — უპასუხა რევაზმა, — მაგრამ არცუ
მთლიანად მართალია.

— როგორ ფუ მართალი არ არის?

- იმიტომ, რომ თქვენ ლურჯი თვალები გაჟეთ.
 — რას ამბობთ?!
 — სწორედ ლურჯი თვალები გაქვს. პისლეირია
 — საიდან იცით?
 — დავინახე.

აი თურმე რაში ყოფილა საქმე. თვალებშიც კი მოუსწრია ჩახედვა. მაშ რატომ ეგონა მზეონას, რომ რევაზი არც კი უყურებდა მას?

— თქვენ როგორი თვალები მოგწონთ: ცისფერი თუ ლურჯი?

— ლურჯი.

მზეონა ტყუილად ჯავრობდა რევაზზე, განა შეიძლება უკმაყოფილო იყო ადამიანზე, რომელსაც შენი თვალები მოსწონს?

— წავიდეთ. თქვენ ხომ ადრე უნდა ადგეთ,—მეგობრულად უთხრა მზეონამ.

— ჰო, წავიდეთ,—არცთუ ისე სიამოვნებით დაეთანხმა რევაზი.

ისინი ნელა მიღიოდნენ ამ მდუმარე ღამით ცარიელ სანაპიროზე, მოუსუნარი მტკვრის დუდუნს უსმენდნენ და ვარსკვლავიანი ცით სტკბებოდნენ.

რევაზმა უამბო, თუ რვა კლასის დამთავრების შემდეგ როგორ მივიღა ქარხანაში და როგორ დაეხმარა მას გიორგი.

— თქვენი ძმა გამოცდილია. მასთან ძალიან საწრერესოა მუშაობა.

— ეს ყველაფერი კარგი,—მიუგო მზეონამ,—მაგრამ სწავლისთვის თავი არ უნდა დაგენებებინათ.

— მეც ასე მინდოდა, მაგრამ არა უშავს. ამ შემოდგომაზე საღამოს სკოლაში შევალ.

— ეს კი ჰქვიანური იქნება... — ლიმილით მოუწოდა /
მზეონამ. ის გრძელდა, რომ რევაზის მომენტებისაც და
დიდ ინტერესს იჩინდა. — სკოლას რომ დფშებულებულება
შემდიგ ინსტიტუტში შედით.

— ვნახოთ. შეიძლება ინსტიტუტშიც შევიდე, მაგ-
რაც მე ჯერ ქარხნიდან წასვლა არ მინდა.

— გაგიტაცა?

— გამიტაცა.

— მე კი აქამდის არაფერი გადამიშევეტია. ჭინათ
თითქმის ყოველთვის ვიცოდი, რაც მინდოდა. მეშვიდე
ქლასში გეოლოგობაზე ვოცნებობდი. მერვეში ასტრო-
ნომია შემიყვარდა. მეთერთმეტეში გადავედი და ჯერაც
ვერ გადამიშევეტია, სად შევიდე...

— დრო მოვა და გადაშევეტ.

— ასე გვონიათ?

— დარწმუნებული ვარ, — მიუგო რევაზმა, — აი, მო-
ვედით კიდეც, — აშკარა გულისტკივილით დაუმატა მან.

— რა ჩქარა მოვედით, — გულწრფელად გაოცდა
მზეონა, — ვერც კი შევამჩნიე, როგორ გავიარეთ გზა.

— მართლა, ისე გაერთეთ?

— მართლა.

— ეგებ კიდევ გაგვესეირნა? — მოკრძალებით უთხრა
რევაზმა.

მზეონას თვითონაც არ უნდოდა შინ წასვლა, მაგრამ
კუთხეში მდგარი საათი მიუთითებდა, რომ თორმეტს
ოცი წუთი აკლდა.

— გვიანაა, სხვა დროს ვისეირნოთ.

— თქვენ... თქვენ ამას სერიოზულად ამბობთ? — ჰკით-
ხა რევაზმა.

— მერე რა? სავსებით სერიოზულად ვაჩიბოძ.

— მაშ გმადლობთ, დიდად გმადლობთ,— მეჯგური ფულა
ხარებულმა რევაზმა. და მზეონას ხელი მაგრამ დაწილებულ
ართვა.— საწყენია, რომ ჩვენს ქარხანაში არ მუშაობთ,
ერთმანეთს კვირეულზე შევხედებოდით, ჩვენ მუდამ მხია-
რულ დროს ვატარებთ ხოლმე.

— რას აკეთებთ?

— ბალს ვუვლით, შარშან გაზაფხულს ბევრი ხე
დავრგეთ.

— ყვავილები? ჩვენ კი სკოლაში მშვენიერი საყვავი-
ლი გავაშენეთ.

— ყვავილებაც გვაქვს. მაგრამ ჩემს ხეზე პასუხს მე
ვაგებ. ჩვენ ყველას თითო ხე მიგვამაგრეს. თუ დარგე,
კიდევ უნდა გაახარო.

— გიყვართ თქვენი ხე? — ჰერიტა მზეონამ.

— როგორ გითხრათ, — მცირე დუმილის შემდეგ მიუ-
გო რევაზმა. — ამაზე არ მითიქირია. ვუვლიდი ისე, რო-
გორც სხვები. ახლა კი... რატომლაც მომესურდა, რომ
ბალის ყველაზე ლამაზი ხე ჩემი იყოს.

— რატომ დაგებადათ უცებ ასეთი სურვილი? შე-
ჯიბრში გამოვიწვიეს?

— აჲ, არა! შეჯიბრი რა შეუძია! — რევაზი დადუძ-
და. ეტყობოდა, არ სურდა საუბრის გაგრძელება, მაგ-
რამ თუ მზეონა რითმე დაინტერესდა, სიჩუმით ვერ გა-
დაურჩები.

— მაშ რატომ? — ჰერიტა მან დაუინებით, — თუმცა
იქნებ ეს საიდუმლოა.

— თქვენ, ქალიშვილებს, როგორ გიყვართ ყოველ-

გვარი საიდუმლო,— გაეცინა რევაზს, და შემდეგ უკვე
სერიოზულად თქვა: — არ ვიცი, როგორ შეძლის მას და ვე
თვითონაც მაკვირვებს: უცებ თვალწინ წარსებრული! მეტე
ხე... იცით რა, ის ხე რილაცით, ვერ გამირკვევია რით,
თქვენა გგავთ... მხოლოდ თქვენ ასეთი შედარება არ
გეწყინოთ. ალბათ ეს სრულიადაც არ არის შესაფერისი.
მე მუდამ ასე გაურკვევლად და არეულად ვლაპარაკობ.

— არა, არა, თქვენ ძალიან გასაგებად ლაპარაკობთ,
გაიზარდოს ის თქვენი ხე.

— თქვენად იგულეთ.

— ჩემად? — თქვა სიხარულისაგან გაკვირვებულმა
მზეონამ.

— თუ საწინააღმდეგო არ გექნებათ, მე გავზრდი იმ
ხეს... ნუ გეწყინებათ... ჩვენი შეხვედრის აღსანიშნავად
გავზრდი.

აი ახლა კი მზეონას წასვლა სულაც ალარ უნდა.
ასეთი რამ მისთვის ჯერ არავის უთქვამს. მას უნდა
დაუსრულებლად უსმენდეს რევაზს. ალბათ მან ბევრი
ასეთი კარგი სიტყვა იცის. მაგრამ ძალიან სასაცილოა
რევაზი, ჩუმად თქვა თუ არა „ნახვამდის“, იმ წამსვე
გაიქცა, თითქო რაღაცისა შეეშინდაო.

...დერეფანში მზეონას კატა მიეგება. ზურგი გაუხა-
ხუნა ფეხებზე. მზეონამ კატა ხელში აიყვანა.

— აი, მეც დავბრუნდი ჩემი პირველი მეჯლისიდან
მოიწყინე უჩემოდ? ლრუტუნებ... არაფერი არ ვესმის...
სულ არაფერი...

დილაა. ყველაზე ადრე ბებია ილფიძებს. ცოტაწიგვები დაფრატუნებს, სკაშები ერთ ადგილიდან მეურმულებობისა და ლაპატების, ხმამალლა უჯავრდება კატას და გარეთ გაგდებით ემუქრება. უნდა ვთქვათ, რომ ბებია ნატო განგებ ხმაურობს. მას უნდა ჩქარი გაიღვიძონ გიორგიმ და მშეონამ, რომ უამბონ, თუ როგორ გაატარეს დრო. მაგრავ ბებიას მიერ ატეხილი ხმაური მშეონაზე გავლენას ვერ ახდენს. ისე ლრმად სძინავს, რომ ზარბაზანიც ვერ გაალფიძებს. სამაგიეროდ გიორგი წამოხტა, გაკვირვებულმა თვალები დაახახება და ჩახლეჩილი ხეით იკითხა:

— რომელი საათია?

— რვის ნახევარი,—უპასუხა ბებიამ.

— მაგვიანდება! —წამოიძახა გიორგიმ და სამშარეულოში გაიქცა. ისე სწრაფად ჩაიცვა და დაიბანა ხელპირი, თითქოს სახლში ხანძარიაო.

— დღეს კვირაა,—მოაგონა ბებიამ.

— აი სწორედ იმიტომ მაგვიანდება, რომ კვირაა, —ხმამალლა თქვა გიორგიმ.—ქარხანაში ხეები უნდა მოერწყათ!.. ხეები!

— რა გაყვირებს, ყრუ ხომ არა ვარ? —მიუგო გაჯავრებულმა ბებიამ.

მუდამ ასეთი ამბავი ემართება გიორგის. ადამიანურად არ შეიძლება მასთან ლაპარაკი. დაუწყებთ თუ არა ლაპარაკს, კარს უკან მიეფარება.

ბებიამ ყავა აადულა და უნდოდა მარტო დაელია, მაგრამ ყავა უგემური გამოდგა. ეს მუდამ ასეა, როდესაც ღილავ.

ბებიამ ველარ მოითმინა, მზეონას საწოლზე ჩამოადგინდა მძინარე მზეონა შეანძრია.

ერთოვანული

— აღექი! ვის გაუგონია ამდენ ხანს ძიუშიშლიკორია მზეონამ უსიამოენოდ გაახილა თვალი.

— ცოტას კიდევ დავიძინებ, ბები. ორი წელი რა,— შევვედრა მზეონა.

რადაც არ უნდა დაჯდომოდა, სიზმარი უნდა ენახა ბოლობდის. ბებიამ დაუთმო.

— რა უბედური ვარ. დაიძინე, გოგო, დაიძინე.

მზეონამ ისევ დახუჭა თვალი, მაგრამ გაწყვეტილი სიზმარი აღარ გაგრძელდა. უბრალო ძილი კი მას აღარ სურდა.

— დილა მშვიდობისა, ბებია. გიორგი სად არის?

— ქარხანაში გაიქცა, ხეების მოსარწყავად.

ხეები?.. „ჩევნი ნაკნობობის აღსანიშნავად... გაიზარდოს“, — მოაგონდა მზეონას. რა კარგია სიცოცხლე, როდესაც იცი, რომ შენს სახელზე ხე იზრდება, ალბათ გიორგიც თავისი ქალიშვილის სახელზე ზრდის ხეს და სწორადაც იქცევა. ის ცისფერკაბიანი ქალიშვილი ლამაზია და კარგი.

— ნუ აღგები, — უთხრა ბებიამ მზეონას. — იწექ, დაისვენე; იმიტომ გაგალვიდე, რომ კვირაა და კარგი სადილი უნდა მოგამზადოთ, შინ კი არაფერი გვაქვს. თუ გინდა, ცოტა ხანს კიდევ იწექი, სადილი მაინც მოესწრება, შენ ხომ დალლილი ხარ?

— დალლილი რად უნდა ვიყო, ბებიკო?

— ეგებ ბევრი იცის.

— ბევრი ვიცექვე, — უპასუხა მზეონამ და თან რატომლაც ამოიოხოდა.

— ალბათ სულ ერთთან ცეკვავდი, — ჩააცივდი ბეჭედი
ნატო.

— არა, ბებიკო, — მზეონამ თავის ფიქრებში მჯრუსამაშე
და უპასუხა, რომ ბევრი ვიციქვი და სულ სხვადასხვას-
თანო.

— ბევრი და სხვადასხვასთან, — უსიამოვნო კილოთი
გაიმეორა ბებიამ, — მე კი ჩემს პირველ მეჯლისზე მხოლოდ
ერთი კავალერი მყავდა. მარტო იმასთან ვცეკვავდი. მხოლოდ
მის სახეს ვხედავდი, მის მშვენიერ სახეს.

— პაპა ახლაც ძალიან ლამაზია, — ფრთხილად ჩაუტ-
თო მზეონამ.

ბებიას ამ თემაზე მასთან არასდროს არ ულაპარაკ-
ნია. და არ იცოდა, რა ეთქვა მისთვის.

ბებიამ ხელი ჩაიქნია.

— პაპა, პაპაშენი ლამაზია! მაგრამ მე იმაზე არა
ვლაპარაკობ.

— ესეც ახალი ამბავი! — თქვა გაკვირვებულმა მზეო-
ნამ და საწოლზე წამოჯდა.

— მე და ის მხოლოდ ორჯერ შევხვდით ერთმა-
ნეთს, — განაგრძო ბებიამ, — ერთხელ იმ მეჯლისზე. რო-
დესაც სიყვარული ამისსნა და მეორედ ქუჩაში შემთხვე-
ვით შევხვდით ერთმანეთს და მაშინ მითხრა, რომ სხვა
ქალს ირთავდა.

— ოჳ, ბებია! — თქვა მზეონამ და ბებიას გამხდარ
მხრებზე შემოეხვია. — რა საწყენია ყველაფერი ეს, ბე-
ბია... უსამართლო და საწყენი.

— საწყენი! შენ ამბობ საწყენიო, მაშინ ჩემთვის ქვე-
ყანაზე ყველაფერი გაქრა. ისეთ დღეში ვიუავი, რომ
სიკვდილს ვნატრობდი.

ბებიამ ხელები თვალზე მიიუარა და მშეონის გან
ნა, რომ იგი ტიროდა. მაგრამ თვალზე კირილური ხელი
ჰქონდა. მან დარდი დიდი ხენია გამოიტიოა.

— როგორ ვიტანჯებოდი ჩაშინ,—განაგრძო ბე-
ბიამ,—და აი სწორედ იმ დროს შემზვდა პაპაშენი.

— შეგიყვარდა?

— აბა როგორ უნდა შემყვარებოდა, როდესაც სხვა
შიყვარდა?

— უსიყვარულოდ ხომ არ შეიძლება გათხოვება, ბე-
ბია. ეს უსინდისობაა. როგორ შეგვეძლო გათხოვება?

— უსინდისობაა! შენთვის ეს ადვილი სათქმელია—
„უსინდისობაა“. მე კა ჩვიდმეტი წლისა ვიყავი... სიცოცხ-
ლე. ბედნიერება მწყუროდა.

— აბა რას ამპობ, ბებია. მეც ჩვიდმეტი წლისა ვარ
და ასე არასდროს არ მოვიქცევი.

ბებიამ მშეონას ხელი თავის გამხდარ მკერდზე მი-
იხუტა.

— ღმერთმა დაგიფაროს ასეთი ამბიდან... მე პაპა-
შენთან ცხოვრების დროს ბედნიერი არასდროს არა
ვყოფილვარ, არასდროს.

— აი, ხომ ხედავ!

— ვხედავ,—მწარედ ამოცოხრა მოხუცმა,—მართა-
ლია, ყველაფერს გვიან მივხვდი, მაშასადამე, ასეთი ბედი
ჰქონია.

— შენ... შენ პაპას არ ემდერი?

— არა. რა საჭიროა სამდურავი. ჩას შეეძლო მხო-
ლოდ უფრო კარგად მომქუცეოდა. მადლობა ჩაინც გა-

დაეხადა. ჩემი მშობლები ძალიან დაეხმარნენ მას; ჩემი მშობლები თუმცა მდიდრები არ იყვნენ, მუწერებული ნი კი ლატავი იყო და ფეხზე დაუყინეს. ეს მას არ უნდა დაევიწყა.

— როგორ არა გრცხვენია, ბებია. ნამდვილ ბურ-უასავით შეჯელობ...

— ბურუუა ვარ მე, რომელსაც სულს იქით არაფერი გამაჩნია?.. აბა, სადაური ბურუუა ვარ?

ბებიას ეწყინა. მზეონა ეცადა მის დამშვიდებას, მაგრამ განა მისი დამშვიდება შეიძლებოდა? გაბრაზებული ბებია ბურუუტით გაეიღა სამშარეულოში. ახლა ეს უკაყაფილება დიდხანს გასრანდა. რას იზამ, გაბრაზდეს! შეუძლებელია ყველა მისი უსამართლო აზრის მოთმენა. მზეონას მაინც შეეცოდა ბებია.

— ბებიკო, ცოტა გვიან ეისაუზმოთ, ჯერ ბაზარში წავალ. გინდა, მარმელადს გიყიდი? გინდა?

ბებიამ არ უპასუხა, რა ჯიუტი ხასიათი აქვს!

მზეონა შუადღემდის ოთახების დალაგებას და სადილის მომზადებას მოუნდა. საკვირაო სადილს ამშადებდა. ასეთი ტრადიცია აქვთ ოჯახში და მზეონასაც არ უნდოდა ამ ტრადიციას ჩამორჩენოდა. შესანიშნავი სადილი იქნება, და აბა ერთი გაბედოს გიორგიმ და დაიგვიანოს! კვირეული ალბათ დიდი ხანია გაუთავდათ. უცებ მზეონას ქარხანაში წასელა და მისი ხის ნახვა მოუნდა, ნეტავ ნაძვის ხე იყოს. შალალი ქალწულივით წერწეტა ნაძვი. თუ ალვის ხე იქნა, განა ცუდია? ნეტავ სად არის აზლა ვასო? საერთოდ უქმე დღეს რას აკეთებენ სამხედროები: სპორტით არიან გართული თუ კითხულობენ?

ეგებ უქმე დღე სულაც არა იქნეთ. ტყუილა კი იქ ამ
ბობენ მათზე, სამშობლოს უცვლელი დარაჯული შემსრულებელი

ზარი დარეკეს. ნეტა ვინ იქნება ასე უძლისას ცურავები
ონამ დერეფანში გამოირბინა. კარებთან ლეიტენანტი
ვასო ქორქია იდგა.

9

— გამარჯობათ,—უთხრა ლეიტენანტმა და ხელი
ქუდთან მიიღო. მშეონას ისე გაუკვირდა მისი დანახვა,
რომ სალამზე არ უპასუხა. საკვირველია. ეს არის ახლა
გაითიქრა მასზე და ესეც აქ გაჩნდა.

— ბოდიში,—თქვა ლეიტენანტმა და ხელი ჩამო-
უშვა,—მე მინდა ბატონი ალექსანდრე ვნახო, თქვენი
პაპა.

— პაპა?—ქიდევ უფრო გაუკვირდა მშეონას.—პაპა
ჩვენთან არა ცხოვრობს.

— ბოდიში,—დაიბნა ვასო.—მე არ ვიცოდი.

— მე მეგონა თქვენ ჩემთან მოხვედით,—გულწრფე-
ლად უთხრა მშეონა.

— მართალი რომ გითხრათ, თქვენთან მოვედი... ესე
ივი პაპასთან და თქვენთან...

— რასა დგახართ კარებში, მობრძანდით.

მშეონამ წინ გაატარა ლეიტენანტი, თვითონ კი მის
ზურგს მიღმა სარკეში ჩაიხედა. ღმერთო, რასა ჰგავდა!
მთელი სახე ფქვილში ამოსვროდა, თმაც ფქვილიანი
ჰქონდა. ესეც შენი კარგი გოგო! ლეიტენანტი კი, თი-
თქოს ჯიბრზე როგორ მორთულა.



— დაბრძანდით. მაშ თქვენ პაპასთან მოხვედროთ? გისლიანად ჰქითხავთ
გისლიანად ჰქითხავთ.

— არა... ესე იგი... — გაწითლდა გამწარებული ლეი-
ტენანტი, ქუდი დაჭმულია და გატანჯულმა შეხედა მზე-
ონას, თითქოს მვედრებოდა, გაჭირვებიდან გამომი-
ყვანეო.

— მომეცით თქვენი ქუდი, — ქუდი ასეთი ლამაზია
და თქვენ კი ქმუკნით.

ლეიტენანტმა მზეონას ქუდი გაუწოდა, სული მო-
ითქვა, ჩქარა და მტკიცედ თქვა:

— ერთი სიტყვით, მე თქვენთან მოვედი. თუ გინ-
დათ, დამითხოვეთ, თქვენი ნებაა.

მზეონა კმაყოფილია.

— რად უნდა დავითხოვოთ? მე მოხრული ვარ.
მხოლოდ ტყუილი არ გეხერხებათ. მოიგონეთ, პაპასთან
მოვედიო.

— ტყუილი, მართალია, არ მეხერხება, — დაეთანხმა
გამხიარულებული ვასო. — მაგრამ პაპას ამბავი კი არ მო-
მიგონია. ბატონი ალექსანდრე სკოლაში ლიტერატურას
გვასწავლიდა... მერე უა, როგორ გითხრათ... მეცხრე
კლასში ლექსების წერა დავიწყე. თქვენი პაპა კი...
თქვენს პაპას მოსწონდა ჩემი ლექსები.

— ლექსებსა წერთ და ლაპარაკი კი არ იცით, ენა
ვებმით. პაპა შეშფოთდებოდა, რომ მოესმინა თქვენ-
ოვის, — მასშავლებლის კილოთი უთხრა მზეონამ.

— მე ვღელავ...

— რად ლელავ? წყალი ხომ არ მოგაროვათ?

— აგრე ნუ ხუმრობთ, — თქვა ლეიტენანტმა და უბის

წიგნაյი ამოიღო, — დლეს მე ახალი ლექსები წარმოადგი
ვითიქრე: ბატონ ალექსანდრეს წავაკითხებული შემდეგ
— სამხედრო ხერხია?

— აბა ეს რა ხერხია. მე მართლა მინდა გავიგო
ბატონ ალექსანდრეს აზრი.

— დავუშვათ, ეს მართალია, მაგრამ რადგან თქვენ
მაინც იეზმაქეთ, ამიტომ დაგსჯით. მე წამიკითხეთ თქვენი
ლექსები.

— რასა ბრძანებთ? ეს თქვენთვის დიდი სასჯელი
იქნება.

— ვნახოთ! და იცით, კიდევ რა! თქვენ მე სამზარე-
ულოში უნდა გამომყენოთ. ხაჭაპური უნდა გამოვაცხო.
რასაკირველია, პოეზია და სამზარეულო ერთად არ მო-
თავსდება, მაგრამ ესეც თქვენი სასჯელი იქნება.

ლეიტენანტი სიამოენებით შეჰყვა მზეონას სამზარე-
ულოში. კუთხეში სკამზე ჩამოჯდა და დაბნეულმა გრძე-
ლი ლექსის კითხვა დაიწყო.

მზეონას ლექსი არ მოსწონს. ტლანქი და ულამა-
ზოა; ის გამოჩენილი კრიტიკოსივით ურჯულოდ შეუ-
რაცხოფს პოეტს. მაგრამ საკირველი ის არის, რომ
ეს კრიტიკა ვასოზე სულ სხვანაირად მოქმედებს: იმის
მაგიერ, რომ წინააღმდეგობა გაუწიოს, ილიმება, ალ-
ფრთოვანებით და გაშტერებით შესცემის მზეონას ხე-
ლებს, რომლებიც ცომს ზელენ და რამდენჯერმე მად-
ლობას უხდის გოგონას.

— რას იღიმებით? თქვენ უნდა გწყვენოდათ.

— მე მსიამოენებს თქვენი ლაპარაკი.

— ეს არ არის სერიოზული საქციელი. ამხანავო!

აღშფოთდა მზეონა. როგორც ეტკობა, ამ გამანალული
ბელი კრიტიკის სრტყვებში ფუჭად ჩაუარა ჟარიანა კაცი.

— წამიკითხეთ კიდევ სხვა ლექსი, უფრო ჰქონდეთ.

— ერთი ლექსიც მაქვს... მაგრამ ჯერ დაუმუშავე-
ბელია. ეს ლექსი დღეს დილით დავწერე ალიონზე.
ლექსი, როგორ გითხრათ... ეს ლექსი თქვენ გიძლვენით,
მზეონა.

— მაშ წამიკითხეთ.

— სხვა დროს.

— რატომ სხვა დროს? ახლა წამიკითხეთ. ხომ მაქვს
უფლება მოვისმინო, როგორი ლექსი მიძლვენით?

— არა, ახლა არ შემიძლია.

— სჯობს წამიკითხოთ, თორემ ეიჩხუბებთ.

— მაშ თუ აგრეა... მხოლოდ არ გაიცინოთ და არ
გამაკრიტიკოთ. ეს ისეთი ლექსია, რომ მისი გაკრი-
ტიკება არ შეიძლება.

ვასომ ჩქარა და ნერვიულად გადაშალა წიგნაკი,
მაგრამ ამ დროს ბებია ნატო შემოვიდა. სამხარეულოს
კარებთან შედგა და მზეონას თითი დაუქნია.

— ვინ არის? — უჩურჩულა ბებიამ.

— ჩემი ნაცნობია.

— გუშინ ამასთან ცეკვავდი?

— დიახ, მაგრამ ეს ჩემი დიდი ხნის...

— სულ ერთია, — სიტყვა გააწყვეტინა ბებიამ. — სად
გინახავს. რომ ახალგაზრდები სამხარეულოში შეპყავდათ?
სირცხვილია!

— იცი რა, ბებია...

— ხმა არ გამაგონო... ახლავე ოთახში შეიძლაც დეკორი
ვეცდები გავართო, სანამ შენ სადილს მოამზადეს უკანას არ უწდოდა
ეს სასაცილო იყო, მაგრამ მშეონას არ უწდოდა მეტად
ბიასთან კამათი. მან ვასო წარუდგინა ბებიას. ბებიას
მოეწონა ვასოს დეზების წყარუნი და დიდი ამბით მოი-
პატიჟა ვასო ტახტზე.

საბრალო ლეიტენანტო! ალბათ არასდროს არავის
არ მოუცია შენივის ამდენი მოულოდნელი კითხვა. მზე-
ონას ჯერ გაეცინა ამ დაკითხვაზე, შემდეგ კი ვასო შე-
ეცოდა.

— ბებიკო, შენ ჩვენი სტუმარი შეაწუხე კითხვებით.
სჯობს, კარტი ეთამაშო. ჩვენ ბებიას „სამოცდაექვსის“
თამაში უყვარს. თქვენ თამაშობთ?

— არა... ოდესლაც ვთამაშობდი.

— ეგ არაფერია. ბებია მალე გასწავლით.

„სამოცდაექვსის“ თამაში არ გამოდიოდა. თუმცა
მოხუცმა დაწვრილებით აუხსნა თამაშის წესი, მაგრამ
ვასოს მაინც ვერაფერი შეასმინა. ბებიას ესმოდა, რა-
ზეც ფიქრობდა ლეიტენანტი. ბებიამ ისიც იცის, სიყვა-
რულისაგან როგორ სულელდებიან ახალგაზრდები. მაგ-
რამ ამ განათლებულ კაცს, ოფიცერს, მეტი მოსაზრება
უნდა ჰქონდეს.

— მოდი, „მაჩანჩალა“, ვითამაშოთ ეს სულ უბრალო
თამაშია, — შესთავაზა ბებიამ.

სიტყვა „ყეყეჩის“ თქმა ბებიას არ უნდა. ლეიტენან-
ტი დათანხმდა, მაგრამ არც ამ თამაშში გამოამეღლავნა
რაიმე ნიჭი. სამაგიეროდ, ბებია ნატო უფრო და უფრო
შედის აზარტში. პირდაპირ გასაკვირველია მოხუცის



ასეთი ვნებანი. ბებიას გატაცებით უყვარს უარის ფრთხოები როდესაც ბებია იგებს (ის კი ყოჭელთვის იგუშესტყობის ელად აღფრთოვანებულია, ერთი სიტყვით, გულით და სულით მხიარული, საწყალ ვასოს კი თვალები რჩება სამხარეულოსაკენ, მისთვის რომ ეგოდენ მიუწდომელი და სანატრელი გახდა. მხოლოდ გიორგის მოსვლისას გათავდა ვასოს წამება. მაგრამ მგონი, მხოლოდ ახლა იწყება მისი ტანჯვა, რადგან გიორგიმ რევაზიც მოიყვანა.

10

ვასო ცდილობდა სადილად არ დარჩენილიყო: განაცხადა, შინ მელიანო.

— რა ვუკორ, შეგიძლიათ წახვიდეთ, — უთხრა მზეონა, — მაგრამ იცოდეთ, მეწყინება.

ლეიტენანტი დარჩა.

მზეონას ბავშვივით ფხაროდა. ახლა მათ ყველას შესანიშნავ სადილს მოართმევს. მოსწონს სტუმრის შიღება-გამისპინძლება. მართალია, რევაზი მისი სტუმარი არ არის, ის გიორგის მოჰყვა, მაგრამ დაქვემდებარებული დიასახლისი.

გიორგიმ ჭიქებში ღვინო დაასხა.

— დავლიოთ ჩვენი პატარა დიასახლისის სადლეგრძელო! — თქვა გიორგიმ.

რევაზმა მზეონას ჭიქას თავისი ჭიქა მიუჯახუნა და შეგობრულად, მაგრამ ძალიან სერიოზულად შეხედა. ლეიტენანტი ჭიქით ხელში ისე წამოდგა, თითქოს „სწორდით!“ უბრძანესო, მაგრამ ის დაბნეული და თი-

თქოს შემინებული იყო. ბებია ნიშნის მოგემით უკი-
მოდა ლეიტენანტს და ფიქრობდა. კარგად აუჭრაუტჭული
დილი ეს ახალგაზრდაო.

შესლების მიზანი

ბებია ძალიან კარგ გუნებაზე იყო; კატას ძეხვის
ნაკრებიც კი შესთავაზა, რაც წინათ არასდროს არ
მომხდარა.

— მშენები ლვინოა,—თქვა რევაზშა.—არ შესხვეს
ვინა თქვა, რომ ლვინოში მზის ყველაზე მეტი მხურვა-
ლებააო.

— მგ გორკიმ თქვა,—სხვათა შორის შენიშნა ვასომ.

— შეიძლება გორკიმაც, — მშეიდად დაეთანხმა რე-
ვაზი. მაგრამ ახალგაზრდებმა ისეთი თვალით გადაწედეს
ერთმანეთს, რომ მზეონას არ მოეწონა. ნეტა რა აქვთ
გასაყოფი? საკვირველი ხალხია!

სადილზე გიორგი და რევაზი გაცხოველებით ბაასობ-
დნენ დლევანდელ კვირეულზე და ერთად ლანძღავდნენ
მზეონასათვის უკნობ არჩილს, რომელმაც უარი განა-
ცხადა ბალის მოელაზე, და საერთოდ ამბობდნენ, რომ
იგი კარგად ვერ იქცევთ.

— არ მესმის, რატომ აქამდის არ დაითხოვენ ასეთ
უქნარას? — ალშფოთდა რევაზი. — ჩემი აზრით, ის ქარხნი-
დან გასაგდებია...

— გაგდება ადვილია, — უცებ ჩაერია ლაპარაკში
ვასო, — აი თქვენ ეცადეთ ადამიანის აღზრდა.

— ადამიანის აღზრდა, — ირონიულად გაეღიმა რე-
ვაზს, — გმაღლობთ ჩჩევისათვის. თქვენ გგონიათ, არ
ვცადეთ.

— სანს, არ ვიცდიათ. ნაწილში თქვენს არჩილზე
უარესი მყავდა, მაგრამ გამოვასწორეთ.

— თქვენთან ეგ ძნელი არ არის: თუ კაცი რამდე
დაშავებს, საპატიოროში ჩასვამთ.

— ეს სწორი არ არის! — წარმოთქვა ნაშენები ფრთხოება
სომ,—მე ჯერ არც ერთი კაცი არ ჩამისვამს საპატიო-
როში.

— ტყუილად არ ჩაგისვამთ,—უკვე აშეარად ახელებ-
და რევაზი ლეიტენანტს.

მზეონას არ მოეწონა ეს და ვასოს მიემხრო.

— ჩემი აზრით, ყველა ადამიანის გამოსწორება შეი-
ძლება.

— ცხოვრებას არ იცნობთ და იმიტომ ამბობთ ასე,—
მკაცრად თქვა რევაზმა.

მზეონას ეწყინა, რა კილოთი ლაპარაკობს რევაზი,
რა ცხოვრების მცოდნე ის არისო? მაგრამ მზეონას
ახსოვს, რომ რევაზი მისი სტუპირია და თვითონ კი
დიასახლისი.

— გეყოფა კამათი,—შემრიგებლურად თქვა მზეო-
ნამ.—სჯობს ჩიხირთმა მიირთვათ, თორემ გაცივდება.

ყველას მოეწონა ჩიხირთმა, თითქოს ხელოვნების
ნიმუში იყოს. ყველაზე მეტს ბებია აქებდა... რა დიპლო-
მატია ეს ბებია—იცის, ვისთვის არის საყურადღებო ეს
ქება.

სტუმრებმა სადილი ერთხმად შეაქეს, მაგრამ ისინი
სხვა საკითხებში არ ეთანხმებიან ერთმანეთს. რევაზმა
თუ რომელიმე წიგნის ქება დაიწყო, ვასო აუცი-
ლებლივ იტყვის, რომ ეს წიგნი მოსაწყენი და არა-
მხატვრულია. ვასოს თბილისის „სპარტაკის“ მეკარე
მოსწონს, რევაზი კი მას დოყლაპიად სთვლის.

შეეონას უნდოდა შეერიგებია სტუმრები, მაგრამ ისე
გამოდიოდა, რომ კამათის დროს იგი ხან წარადგი ცვლილ
ბოდა და ხან მეორეს. ტყუილს ხომ არ იტკობლა! მას ეს
ნას უკვირდა, რომ ის უფრო აღიზიანებდა მოქამათებს
თავის ჩარევით, გიორგის მაინც დაემშვიდებია ისინი,
მაგრამ გიორგის მხოლოდ ეცინებოდა.

ისადილეს.

— წავიდეთ, გავისეირნოთ, — თქვა მზეონამ.

— საქმიანი წინადადებაა, — მოეწონა გიორგის, —
მაგრამ მე კი ბოდიში უნდა მოვითხოვო, ერთ აღარინს
უნდა შევჭვდე.

— სამწუხაროა, რომ ბებიას არ შეუძლია ჩვენთან
წამოსვლა, — თქვა მზეონამ და სტუმრებს აუხსნა, ბებიას
სადილის შემდეგ ძილი უყვარსო.

— არა, რატომ. მე წინათ სადილის შემდეგ ყოველ-
თვის მრყვარდა სეირნობა, — წარმოთქვა ბებიამ, რო-
მელსაც უკვე ძილი მორეოდა, მაგრამ მზად იყო თავი
შეეკავებინა მანამ, სანამ ამას საქმე მოითხოვდა.

ბებიას აზრით კი საქმე ძალიან სერიოზულია. შინ
გასათხოვარი ქალი ჰყავთ, ახალგაზრდები მოვიდნენ,
თუმცა ეს რევაზი რა ჩასათვლელია. ჯერ ერთი, ძალიან
ახალგაზრდაა, მეორეც — ძალიან გესლიანი...

საჩავიეროდ ეს ახალგაზრდა ოფიცერი მოეწონა ბე-
ბიას. მშენიერი ვაბუკრაო, — ფიქრობდა და ლეიტენანტს
სიამოვნებით ათვალიერებდა.

— სანაპიროზე გაეითოთ, — თქვა მზეონამ, — მაგრამ
წინასწარ გაურთხილებთ: რომ ლაპარაკს მე ვთაოსნობ.
თქვენ კი მისმინეთ, არ მიყვარს, როდესაც კამათობთ.

მზეონას ვერ წარმოედგინა თუ ამდენი ლაპარაკი
შეეძლო. შართალია, მას არც არასდროს ჰყოჩასტებელი
უურადლებიანი და ოვინიერი მსმენელნი, შაგრად რგონი
უხერხულია ისარგებლო ხალხის მოთმინებით და ამდენი
იყმედო!

— ახლა კი შინ მიმაცილეთ. ბებიას ალბათ უკვი
გაელვიდა და მოწყენილია უჩემოდ.

გამოთხოვებისას მზეონამ თქვა:

— რა ყბედი ვარ.

— რას ბრძანებთ! მე დიდი ინტერესით გისმენდით,—
უპასუხა ლეიიტენანტმა.

— თქვენ არ მოიწყინეთ? — ჰყითხა მზეონამ რევაზს.

— რად უნდა მომეწყინა, — მხრები აიჩეჩა რევაზმა.

— თუ სურვილი გექნებათ, შემოიარეთ, — მეგობრუ-
ლად შესთავაზა მზეონამ ახალგაზრდებს.

— მომავალ კვირას შემოვივლი, თუ ნებას მომცემთ,
თქვა ვასომ.

მზეონამ რევაზს მიმართა.

— თქვენ, თქვენ კი არ მოხვალთ!

— კვირაობით მე თითქმის თავისუფალი ვარ, — გა-
ურკვივლად თქვა რევაზმა.

მზეონა შინ შევიდა და მძიმე კარი ოდნავ მოიხურა:
დაინახა, რომ რევაზმა და ვასომ ოდნავ დაუკრეს ერთ-
მანეთს თავი და სხვადასხვა გზით წავიდნენ. თითქოს
აქ არც არაფერი იყო საკვირველი, ახალგაზრდებს ერთი
გზა არ ჰქონდათ — ისინი ქალაქის სხვადასხვა მხარეს
ცემოვრობდნენ. მაგრამ მზეონამ იგრძნო, რომ რევაზი
და ვასო მტრულად განშორდნენ ერთმანეთს. და გოგო.

ნამ უეცრად შიშით გაიფიქრა: ეს ჩემი გამოისახეს /
მოხდაო.

ერთობლივად

მზეონა ამ აზრმა უსიამოვნოდ გააკეირგუა უასტყენა
ახლავე დაებრუნებია ვასო და რევაზი, ესაყვედურა მათ-
თვის და მკაცრად ეთქვა: როგორ ბედავთ... ახლავე შე-
რიგდით, სირცხვილიაო!

...მაგრამ დადგა მეორე დღე და გუშინდელი განცდა
მას უკვე უმნიშვნელოდ და უსაფუძვლოდ მოეჩვენა.
მართლადა აბა რა უნდა ჰქონდეთ მტრობის მიზეზი?
მართალია, სხვადასხვა ხასიათის არიან, მაგრამ ორივე
ჭივიანები და კარგები არიან... ახლოს რომ გაიცნობენ
ერთმანეთს, დამეგობრდებიან. მე ამას მოვახერხებ. პირ,
დაპირ ვეტყვი: თუ გინდათ ჩემი მეგობრები იყოთ — ერთ-
მანეთშიც იმეგობრეთ მეთქი.

„რევაზი — მზეონა — ვასო“.

მაგრამ ეს ასე ადვილი არ აღმოჩნდა. ძნელი არ არის
ქალალდება დაწერო „თანასწორობა“ და დაუმატო სიტყვა
„მეგობრობა“. ეს მხოლოდ ქალალდება ადვილი, მაგრამ
ცხოვრებაში არა, — ფიქრობდა მზეონა, — ცხოვრებაში
ყველაფერი ასე ადვილი როდია. რა იქნება, რომ მან
შესძლოს ამ ამოცანის ამოხსნა? მაშინ? რას იზამს, თუ
რევაზი არ მოინდომებს ვასოსთან მეგობრობას? მაშინ
ხომ მზეონამ ამ ორში ერთი უნდა აირჩიოს. ახლა მას
არ სურს და არც შეუძლია არჩევა. ორთავეს დაუმე-
გობრდება, ორივე მოსწონს.

კარგი იქნება, ვისმეს რჩევა რომ ჰქითხოს. მაგრამ
ვის? მზეონამ წიგნებს მიმართა. იმ წიგნებში კი, რომე-
ლიც მას ხელში ხედებოდა, სულ სიყვარულზე იყო ლა-



პარაკი, და მხეონამ გადასწყვიტა, რომ ეს მუსიკური მუსიკი ბოდა. ის, საითქნაც მხეონა მიისწრაფვის, შეზღუდულობურება და არა სიყვარული. წიგნებს რომ დაუჯეროს, ვასო და რევაზი მოსისლე მტრები და მეტოქენი უნდა გახდნენ. ეს წიგნები ხომ წარსულს ასახავენ, იმ დროს, როდესაც იდამიანები ყველაფერზე ერთმანეთს მტრობდნენ. განა შესაძლებელია წარმოვიდგინო, რომ ვასო და რევაზი მოსისლე მტრები გახდებიან? სისულელეა! ეს არას-დროს არ მოხდება. არა, ახლა იგი წიგნებს არ დაუჯერებს, და არავითარი ეჭვიც არ ეპარება, რომ ისე მოაწყობს ყველაფერს, როგორც მოიფიქრა. ახლა კი კეირამდე უნდა მოიცადოს. მოვლენ ჭაბუკები და მათ მორის მეგობრობის ხელშეკრულებას დასდებს... მტკიცე, საიმედო მეგობრობის ხელშეკრულებას.

კვირა დღის მოლოდინი მხეონასათვის არ არის ძნელი. დედისაგან ყოველ დღე გამამხნევებელი წერილი მოსდის: მამა ახლა კარგად არის, მალე გამოკეთდებაო. ძმაც უფრო ყურადღებიანი გახდა მხეონას მიმართ. ბებია... მოხუცი თითქოს მთლიანად შესცვალესო: ბუზლუნა, უქმაყოფილო მოხუცი კეთილი და დიდსულოვანი გახდა. წინათ უბრალო რამეზე და ხან უმიზეზოდაც ეკამათებოდა შვილიშვილებს, ახლა კი წამდაუშუმ ესი-უვარულებოდა მხეონას. და რაც ყველაზე უფრო გაუგებარი იყო, კატაც უფრო ალერსიანი და გამგონე გახდა.

ერთი სიტყვით, მხეონასათვის ოჯახში ყველაფერი იარგად შეიცვალა.



შაბათს, როდესაც გიორგი ქარხანაში წასასვლელად მოეწიადა, მზეონას უთხრა:

— პაპასთან წალი. დღეს კისლოვოდსკში მიემგზავრება.

მზეონამ სადილი მოამზადა, კაბა გამოიცვალა და იჩაყად გაემართა კარისაკენ.

— შენ საიო? — ჰერიონი ბებიამ.

მზეონას არ უნდა ტყუილის თქმა, მაგრამ არც ბებიას ალელვება სურს.

— ბებიკო, ამხანაგთან გავიძლევი, წიგნი მინდა გამოვართვა.

...პაპას ბინაში ყველაფერი არეულია, ეტყობა, დიასახლისები საღლაც მიემგზავრებიან. ძველებურ სკივრში ჩალაგებული ზამთრის ტანსაცმელისთვის ნაფტალინი დაუყრიათ. ჩემოდნებზე ბალთა გადაუკრავთ. ქალბატონი მანანა მზეონას ალერსიანად შეხვდა. მაგრამ მაინც დამაინც არ გახარებია მისი დანახვა. ახლა მას დრო არა აქვს სტუმრების მისალებად, გამგზავრებამდე სულ რამდენიმე საათი დარჩენილა და ჯერ კიდევ მზად არ არის.

— პაპა საღაა? — ჰერიონი მზეონამ.

— ეს არის ახლა გავიდა, საკვირველია, რომ ერთ-მანეოს ასცდით.

— როგორ მეწყინა. მეც წავყვებოდი, — თქვა მზეონამ. მას უყვარდა პაპასთან ქუჩაში სიარული: პაპა ისე-თი ლამაზია, ყველა მას უყურებს, პაპა როგორ გრძანდება? ხომ კარგად არის?



— პაპა კარგადაა. აი შენ კი რატომ გახდი?

უსოივანული

— ეგ არაფერია.

— საშიში კი არაფერია, მაგრამ თქვენჭიშტკის უსამყარესი გად ვერ მოიქცნენ. წელს ძალიან ცხელა და შენი ქალაქში დატოვება არ შეიძლებოდა.

მზეონას ესმის, რომ ქალბატონი მანანა ამას სიკეთით ამზობს, მაგრავ მაინც გაიფიქრა, ნეტა რა ესაქმებაო, აბა ვინაა მისთვის მანანა? პაპის ცოლი. მერე რა! მისთვის სრულიად უცხოა ეს ქალი.

ჭინათ, ბებიასთან საუბრამდე მზეონა ვერ გაბედავდა ასეთ ფიქრს ქალბატონ მანანაზე, იმიტომ, რომ ამ ქალს თუ სიკპატიით არა, ყოველ შემთხვევაში, საკმარისი პატივისცემით ექცეოდა. ახლა კი სჯობს გაჩუმდეს, თორებ ისეთ რამეს გაუბედავს, რომ...

ქალბატონ მანანას უხარია, რომ მზეონა გაჩუმებულია, სალაპარაკოდ არ სცალია.

— რა უბედურებაა, უთო ისევ გადაიწვა, — ბუზლუნებს ქალბატონი მანანა, — როგორი სიცხეა. თუ გინდა, კაბინეტში შედი, იქ უფრო გრილა.

მზეონა პაპის საწერ მაგილას მიუჯდა. იქ ყველაფერი მისთვის ნაცნობია. რაც თავი ახსოეს, ეს ცალრქიანი ირმით გამოხატული თაბაშირის საფერიფლეც ახსოეს. მზეონა საჩი წლისა იყო, როდესაც ირემს მეორე რქა მოატეხა. დედა გაუჯავრდა, მაგრამ პაპა გამოიხარჩია: ირკები ხანდახან თვითონ იმტვრებინ რქებსო. ფერიდი უანქრებით საესე ეს პრიოლის ჭიქა კი პაპამ სპეციალურ დადგა მაგიდაშე, რომ მზეონას ეხატა, მზეონას პატარაობისას ხატვა უყვარდა. აი აქ კი — რატომ მოა-

გონდა ახლა ეს,— აქ ბებიას წერილების ყუთი, იღვა,
ალბათ გადააგდეს. ბოროტი, საძაგელი ქუჩორი გრემი
როგორ დართო ნება? ეს, პაპა, ჩემო პაპიმ და მართება

პაპა რომ აქ ყოფილიყო, მზეონა ყველაფერს ეტყო-
და. იგი პაპას აუცილებლად უნდა მოელაპარაკოს. თუნ-
დაც ეს მას არ ესიამოვნოს, კიდევ ეწყინოს, რა მე-
ნალვლება,— გაიფიქრა მზეონამ,— ეგებ სჯობს, რომ წე-
რილი მივწერო? ვიცდები მივწერო.

„პაპა! შე ყველაფერი ვიცი. ბებიამ მიამბო.— ჩქარა
წერდა მზეონა მოწაფის რვეულის ფურცლებზე.— ისე
მეცოდება ბებია, რომ მეტირება. შენც მეცოდები. არა,
ეს სწორი არ არის. მე შენ მაგიერადაც მწყინს, ძალიან
მწყინს. განა ეს კარგია, განა ეს პატიოსნებაა, პაპა?
თუმცა ძნელად, მაგრამ მაინც შემიძლია მიგიხვდე, რად
გაშორდი ბებიას. მაშ როგორ შეიძლებოდა... ისე რო-
გორ შეირთე, როდესაც არ გიყვარდათ ერთმანეთი?
ეგებ მე ვცდები, მაგრამ მე ასე მესმის—ადამიანებს ისე-
თი ძლიერი სიყვარული უნდა აკავშირებდეთ, რომ ცალ-
ცალკე ცხოვრება ყოვლად შეუძლებელი იყოს. თქვენ
კი რამ დაგაკავშირათ? მე ვხედავ. რა უკავშირო ხარ,
მე უკვე წინასწარ ვიცი, რასაც იტყვი: ეს შეცდომა
იყო, ჩემი და ბებიას შეცდომა. მაგრამ ბებია მაშინ
ჩვიდმეტი წლისა იქო (მეც ჩვიდმეტი წლისა ვარ!) განა
ძნელია შეცდომა დაუშვა, როდესაც ცხოვრებისა ჯერ
არა გაგევება რა? შენ ხომ ასეთი ჭკვიანი ხარ, ბრძენი
ხარ, პაპა, და როგორ შეცდი...“

მწარე სიტყვები ქაღალდზე ღაწერას მოითხოვენ,
მაგრამ მზეონამ კალმისტარი დადო. თავს შეეკითხა:



რადა ვწერ აშასო? რა შეიძლება გამოიცვალეა ჩერებული... და ეხმარება ეს წერილი? და მზეონამ პატარებული ჯუმრება აქცია ქალალდი, ხელისგული თვალებზე აიტარა და ნალვლიანად ჩაფიქრდა იმაზე, თუ გაინც რა რთულია ცხოვრება. ცუდია, რომ ცოტას ვერკვევი, ცხოვრებას არ ვუფიქრდები. რა საშინელ შეცდომებს უშეებენ ზოგჯერ ადამიანები. მაგრამ... როგორ... რა გავაკეთო, რომ ჩემს ცხოვრებაში არ იყოს ისეთი შეცდომები! დედა მუდამ ამბობს, რომ მე გულჩილი ვარ, მე კი მსურს, რომ მაგრამ გული მქონდეს და ბრძენი ვიყო. განა შეიძლება არსებობდეს ბრძენი გული?

აივნიდან ქალბატონი მანანას ხმა მოისმა. მეზობელს ელაპარაკებოდა.

მზეონის უკეირს თუ რად ლაპარაკობენ ასე ხმამალლა? რა უსიამოენო მეაცრი ხმაა. საერთოდ სწორედ რომ განვესაჯოთ, ქალბატონ მანანას ჩვეულებრივი ხმა აქვს, მაგრამ განა ხმის კილოშია საქმე?

მზეონი წამოდგა. აღარ შეუძლია აქ დარჩენა. რცხვენია და სწყინს კიდევ ამაზე ფიქრი; ეს სახლი ხომ მისი პაპისაა, მაგრამ მაინც სხვისია და უცხო.

— მე მივდივარ,—უთხრა მზეონამ ქალბატონ მანანას.—მე და გოგი საღამოს საღვურზე გამოვალთ.

— როგორც გინდა... მატარებელი სრულ ით საათზე გადის.

— ვიცი.

მზეონამ ეზოს ხეივანს მიაშურა. წინათ აქ ყველაფერი მოსწონდა, ახლა კი... რა მემართება? — ფიქრობდა გოგონა,—ეგებ არ არის კარგი, რომ ასე ვუიქრობ. ალბათ არ არის კარგი.



შზეონამ გააღო მძიმე რკინის კიშვარი დეპარტამენტის
ნელად შეკრთა. ტროტუარზე ვასო იდგა ბეჭდების მიერთება
წარწერას ყურადღებით კითხულობდა. „ეზოში ავი ძალ-
ლია“. საოცარია პირდაპირ, საღაც არა გვინია, ვასოს
წააწყდები. სულ არ ელი და ეს კი...

— ნუ ვეშინიათ, შემოდით, — უთხრა შზეონამ, — ეს
ქველი წარწერაა. ეზოში ძალლები დიდი ხანია აღარ
არიან.

ვასომ შეხედა შზეონას, გაწითლდა. სიხარული, და-
ბნევა და კიდევ რაღაც გაურკვეველი განცლა გამოეხატა
თვალებში.

— ძალლებისა მე არ მეშინია.

— რასაკვირველია, თქვენ ალბათ მამაცი ბრძანდე-
ბით.

— რა თამამი ხართ, — გაეცინა ვასოს. — სულ არ გა-
მოცვლილხართ, მაგრამ სულ ერთია, მე მაინც მიხარია
თქვენთან შეხვედრა, თქვენ?

შზეონას, რასაკვირველია, ლეიტენანტტან შეხვედრა
უხარია, იგი უგუნებოდა და მარტო დარჩენა არ უნდა.
შხოლოდ ერთია საკვირველი: ყველგან და ყველასთან
წრფელმა მზეონამ ახლა რატომლაც იქმიავა.

— პაპასთან მოხვედით, ლექსები მოიტანეთ? — ჰკითხა
მან პასუხის ნაცვლად.

— ლექსები მოვიტანე.

— ისევ სამხედრო საიდუმლოებაა?

— მართალს გეუბნებით. ლექსები მოვიტანე. მე ვი-
ცოდი. მტკიცედ, ვიცოდი, რომ თქვენ შეგხვდებოდით.

- სწორედ აქ? საიდან იცოდით? ვინ გიოხრამ?
 — გულმა მიყარნახა.
 — რას იგონებთ, თქვენ დამინახეთ, უძრუდებული
 მოვედი.
- ოფიციალის პატიოსან სიტყვას გაძლევთ, არ დამი-
 ნახიხართ. აი გუშინ, გუშინ კი დაგინახეთ.
- სად?
- მაღაზიიდან გამოხვედით. დიდხანს მოგდევდით, —
 ალიარა მოღრუბლულმა ლეიტენანტმა.
- რატომ ახლოს არ მოხვედით.
- მინდოდა... ძალიან მინდოდა მოსველა, მაგრამ
 გადავწყვიტე: თუ მოიხედავდით, მაშინ მოვსჯლიყავი.
 და მე...
- რა სისულელეა. შორ მანძილზე მე ხომ არ შემი-
 ძლია აზრების ამოკითხება. ინ უნდა მოსულიყავით ან
 დაგეძახნათ.
- ეს ასე უბრალო საქმე არ არის, — ყრუდ თქვა
 ვასომ, — არც ისე უბრალო საქმეა, როგორც თქვენა
 გვონიათ.
- რაღაცას პეიტრობთ, გაჯავრდა მზეონა. ის უკვე
 დაღალა ამ ლაპარაკმა, — თქვენ დარჩებით? პაპა ალბათ
 მალე მოვა.
- ვასომ ერთბაშად არ უპასუხა და ცოტა ხანს უსი-
 ტყვოდ შესკეროდა მზეონას. ცხელი, მწველი თვალე-
 ბით შესკეროდა, ისე, როგორც მაშინ, მეჯლისზე, მაგ-
 რამ ეს მზერა ახლა ქალიშვილზე სულ სხვა შთაბეჭდი-
 ლებას ახდენდა. ამ მზერით ჭაბუკი თითქოს ლამობდა
 მზეონას აქამდე დაფარული უცხო განძი წარეტაცა.

„ასე რად მიცემოს, — ბრაზობდა მზეონა. — თუ უკი
ლება აქვს ასე მიცეიროს“.



ერთობლივ

— მე ვერ მოვუდი ბატონ ალექსანდრუმ შემდეგისა
თქვა ლეიტენანტმა. — საქმე მაქვს... ახლა მინდვრიდან
მოვდივარ. ტანსაცმელის გამოცვლაც ვერ მოვასწარი.

მზეონას უნდოდა ვასოსთვის ეთქვა: თუ დრო არა
გაქვს, წადი, რაღას უცდი, ხვალ კი სჯობს ასე არ და-
ძენახოთ... მაგრამ უცებ შეეცოდა ლეიტენანტი. რა შუა-
შია ვასო, თუ მე ცუდ გუნებაზე ვარ? გაიფიქრა მან და
მოულოდნელად უთხრა:

— თქვენ აი, ასეთი, მინდვრიდან მოსული უფრო
მომწონხართ... თბილი ნიავის და მინდვრის ბალახის
სურნელი გაქვთ.

— მინდონში მართლა დიდი ქარი ქრის, — უპასუხა
დაბნეულმა ლეიტენანტმა, — ბალახი კი... ბალახი უკვე
გადამხმარია.

— დაშიჯერეთ, — განაგრძო მზეონამ, — არასდროს
დეზები არ ატაროთ, უდეზებოდ უფრო სადა ხართ
და... — მზეონას უნდოდა ეთქვა „კარგი“, მაგრამ თქვა: —
უბრალო. დიახ, უბრალო. ისევ ჩვენი უბნის ბიჭს მომა-
გონებთ.

— მე ძალიან მიყვარს ის ჩვენი ქუჩა! თქვენ?

თავისთავად ისე მოხდა, რომ ერთად წავიდნენ, ლა-
პარაკობდნენ იმ ქუჩის გოგო-ბიჟებზე, სადაც ისინი
ცხოვრობდნენ. მხოლოდ მზეონას ზოგი დავიწყებოდა,
ვასოს კი უველა ახსოვდა. იცის, ახლა ვინ სად სწავლობს,
რას აკეთებს, ქუჩაში მომხდარი უმნიშვნელო შემთხვე-
ვებიც ახსოვს.



— გახსოვთ? — უკვე მერამდენჯერ ეკითხებთ თუ უკუკი
და თან სასაცილო ან ნალვლიან ამბავს შეუშლულყოფილ
თითქოს ამ ცოტა ხნის წინათ მომხდარ, მაგრამ უკვე
წარსულში სამუდამოდ დავიწყებულ აჩვავს.

— ღმერთო, როგორ დავბერდი, — გაეცინა მზეო-
ნას. — მხოლოდ მოხუცები იგონებენ წარსულს.

კაფე „თბილისის“ შესასელელთან ვასო შეჩერდა და
მზეონა შეიპატიფა.

— რამდენიმე წუთით შევიდეთ. ძალიან კარგი ნა-
ყინია.

— რას ამბობთ! — წამოიძახა შეშინებულმა მზეონამ, —
მე აქ მხოლოდ ერთხელ ვიყავი მამასთან ერთად. არ
მომეწონა: ბევრი ხალხი იყო და ყველა ლვინოსა სეამდა.

— ამ დროს კაფე თითქმის კარიელია. ახლა, რო-
გორც აქ ამბობენ, ბელურების დროა.

— რას ნიშნავს ბელურების დრო? — გაუკვირდა მზე-
ონას, — მიამბეთ!

— გიამბობთ, — უსიამოვნოდ დაეთანხმა სულ სხვა
ფიქრს აყოლილი ვასო და სასაცილო ამბავი სერიოზუ
ლად უამბო... ერთხელ თურმე რომელილაც მამაცი და
გამბედავი ბელურა-მზეერავი შემოხვევით კაფეს ლია
სარქმელში შეფრენილა და იქ ნამცირები უპოვია. „კავ-
შირგაბმულობის“ სახლთან მდგარ საათზე დრო დაუ-
ნიშნავს და ამის შემდეგ თავის მეგობრებთან და ნათე-
სავებთან ერთად დანიშნულ დროს პოფრინდებიან
ხოლმე კაფეში სასაუზმოდო.

— რა მშვენივრად მოიგონეთ, — გაელიმა მზეონას, —
მხოლოდ ოქვენი ბელურები ადამიანებივით იქცევიან,
საათის ცნობაც სცოდნიათ...

— იცით თუ არა, რომ შეღურები ძალიან გადასა-
იდამიანებს? იქ, სადაც ადამიანი ცხოვრობს ჩატარებული
არის. ასა ერთი შეხედეთ, გინდა აი იმ ბეღური გადასა-
ვასომ ბეღურაზე, რომელიც ნადავლით გამოფრინდა
კაფედან და მზეონას წინ მშეიდად დასკუპდა,— ხედავთ,
როგორ არის შეჩერებული ადამიანებთან.

— რა ლორმუცელა! — წამოიძახა მზეონამ. — როგორც
ჩვენი კატა.

— დიახ, წააგავს...

— წააგავს, წააგავს, — მოულოდნელად გააჯავრა მზე-
ონამ. — სრულიად არ ჰვავს. ჩვენი კატა კვეიიანია, ეს კი...

ლეიტენანტს ეწყინა, მაგრამ არ შეიმჩნია. ამ შემთხვე
ვაში კამათი საჭირო არ იყო, ეს იცოდა ვასომ. მან
მხოლოდ ხელები გაშალა.

— არ მესმის...

— როდისმე გაიგებთ, — ღიმილით გააწყვეტინა მზეო-
ნამ და მოულოდნელა ლეიტენანტს ხელი ჩასჭიდა. —
რასა ვდგავართ. წავიდეთ.

— ბალში მაინც შევიდეთ, — სოხოვა ვასომ, — ცოტა
ხანს დავსხდეთ.

— მხოლოდ ცოტა ხანს, ბებიას დაეპირდი, მალე
მოვალ-მეტქი.

ბალში ბავშვების ქრიამული იდგა.

მათი ყიფინით გაყრუებულია არემარე. ხეივანში და-
რბიან, პატარებს კი დედის კალთაში ან და საბავშვო
ეტლებში სძინავთ.

— შეხედეთ, რა კარგი ბავშვია, თვალები როგორ
უბრწყინავს! — მზეონა აღფროვანებულია და ჩუმად,

თითქოს თავის თავს ეუბნება: — დედამისმა წლის შინ დაამთაერა ჩვენი სკოლა. უკვე შვილი გადასცა
— სიმპათიურია.
— ვინ?

ვერა და ვერ გაერკვა ვასო მზეონას ხასიათის ამ სწრაფ ცვლილებაში. ვის არ დააბნევდა მისი ქცევა!

— ვინ და ეს ბავშვი... გაუბედავად თქვა ვასომ. — თქვენ თვითონ არ...

— ბავშვებისა თქვენ არა გესმით რა! სიმპათიური კი არა, ლამაზი, მშვენიერი ბავშვია.

საბოლოოდ დაბნეული ვასო პირველ თავისუფალ სკანზე ჯდება. მზეონაც სდუმს. ლიმილით უთვალთვა-ლებს ბავშვებს და ლეიტენანტზე ფიქრობს.

„ვასო კარგია. ტყუილა ვაბრაზებ, ჩვენ კარგი მეგობრები ვიქნებით. ძალიან კარგი“. მაგრამ ამ დროს ორი წლის ბიჭუნა იმხანავს გამოეკიდა, გაიქცა და ქვეშაზე პირქვე დაეცა, ისე ატირდა, რომ მზეონას ყველაფერი დაავიწყდა და მისაშველებლად გაექანა.

— ნუ ტირი, გენაცვალე, — ალერსიანად უთხრა მზეონამ, ჩაიქცა და ბიჭუნას თვალები და ცხვირი ცხვირ-სახოცით მოსწმინდა, — ახლა შენს დედიქოს ვიპოვნი, გაკოცებს და გაგიცლის.

მოვარდა შეშინებული და გაბრაზებული დედა, ბი-ჭუნას მაკრად მიარტყა... და დაუმატა:

— აი შენ! აი შენ! ხომ გითხარი, არ ირბინო-მეთქი! აღშფოთებული მზეონა ვასოსთან მიიქრა.

— ეს რა ამბავია. რას ნიშნავს, არ ირბინოო!

მზეონა კიდევ დიდხანს ვერ დამშვიდდა, დაბეჯითე-

ბით აშბობდა, რომ ბავშვების ცემა არავითზე შეითხებული გაში არ შეიძლება, რომ ეს ძევლი ჩეცულებული უკავშირო თვისაც საზოგადო წესით უნდა დაისაჯობო მიზანებისათვის გასო უსმენდა და არც უსმენდა მშეონას. ქვიშაზე რაღაცას ხაზავდა და დაგინებით ფიქრობდა: „ეუთხრა... თუ ერ ვუთხრა“...

— რას ხატავთ? — ეკითხება დამშვიდებული მშეონა.

— მზის პირობით ნიშანს, — თქვა ვასომ, — თქვენი სახელი და მზის სახელი ერთია და თქვენც... იქვენც მართლა მზეს ჰგავხართ.

— პოეტო, იგონებთ ამის, — გაეცინა მშეონას.

— ნუ იცინით, — სთხოვა ვასომ, — უნდა გითხრათ ძალიან... ძალიან საყურადღებო რამ. ესე იგი ჩემთვის ეს არის ძალიან საყურადღებო და თქვენთვის კი, შესაძლებელია, სულაც არ იყოს საინტერესო, მაგრამ შინც ნუ გამცინებთ.

— მე არ ვიცინი, — თქვა მშეონამ. იგი მიხვდა, რომ ვასოს სიყვარულზე სურდა ლაპარაკი. მისი ვულიც უნდა ათროთოლებულიყო და მშფოთვარე ძვერა დაწყო. მაგრამ ეს ასე არ მოხდა.

— ბევრი რამ მინდა კითხრათ, — განაგრძო ვასომ. — მაგრამ არ ვიცი, ეგებ არა ღირდეს აჩაზე ლაპარაკი.

მკაცრად რომ განვსაჯოთ, მშეონას უნდა ეპასუხნა: ნერაფერს მეტყვით... საჭირო არ არისო... მაგრამ აგა რომელ ქალიშვილს არ აინტერესებს მოისმინოს სიყვარულის აღსარება.

— თქვით, — ოდნავ ვასაგონად წარმოთქვა მშეონამ.

— გეტყვით, ყველაფერს გეტყვით. მაგრამ ჯერ ამ

კითხვაზე მიპასუხეთ, თქვენ გწამთ სიყვარული ერთი /
დანახვით? 

— არ ვიცი, — უპასუხა მშეონამ. — მგონიშვილი შესტევდა

— არ გჯერათ? — წამოიძახა აღშფოთებულმა ვასომ.

— თუ ღმერთი გწამთ, ჩუპალ, ჩეენ გვიყურებენ, — ჩურჩულით სთხოვა მშეონამ, — არაფერი ვიცი. არაფერი.

— ბოდიშს ვიხდი. საუბარმა გამიტაცა, — ჩუმად მიუვო ვასომ. — დავიბენი და ოვითონაც არ ვიცი: იბა რა შეაშია აქ ერთი დანახვით შეყვარება? შე ხომ დიდი ხანია მიყვარხართ. მაშინ ჩეენ ერთ უბანში ვცხოვრობდით. მაშინ არ ვიცოდი, რომ ეს სიყვარული იყო. ახლა კი...

თავდაპირეულად მშეონა ისე მოჯადოებულივით უსმენდა ვასოს, თითქოს ბავშვობის წარმტაც ზღაპარს ყურს უგდებსო. მაგრამ აი უცებ გაუელვა აზრმა, რომ ეს მას და არა სხვას ეფიცებოდნენ სიყვარულს.

მაშ თუ ასეა, რად არ ჰპოვეს ვასოს სიტყვებმა მის გულში გამოძახილი? რად? თითქოს მე-კი არა, სავაჭალიშვილს უუპნებიან მიყვარხარო, — გაიფიქრა მან.

მშეონამ ისე იგრძნო თავი, თითქოს შემთხვევით ყური მიუგდო სხვის საიდუმლოებას. ეს სირცხვილიცაა და უხერხულიც. ნუთუ ვასო არა გრძნობს, რომ მშეონას ემძიმება ამ თემაზე საუბარი!

მაგრამ ვასო ცერაფერს ამჩნევს. მან გადასწუვიტა თავის გრძნობაზე ეზძვა ყველაფერი. ისე ჩქარობდა, თითქოს წუთის შემდეგ უკვე გვიანი იქნებოდა და ველარაფერს იტუოდა. ვასო ბევრს ლაპარაკობდა, ლაპარაკობდა არეულად, ცხარედ, მაგრამ თვითონ მას კი მხოლოდ

ერთი სიტყვა ესმოდა — სიყვარული. იგი არ ცდილობდა განსაკუთრებული ეპითეტები გამოეძებნა. ეჭიშირზელი რომელიც ახლა მას ყველაზე მეტად უყვარს შეს „მარიამშეც“ როებდა ამ ეპითეტებს. ხოლო ამ ერთი სიტყვით — „მიყვარხარ“, თუ ნამდვილად და მხურვალედ გიყვარს, ყველაფერს გამოხატავ აწმყოსაც და მომავალსაც.

— ერთი წლის შემდეგ, როდესაც სკოლის დაამთავრებთ, მე პატაკს მივუებ და შორეულ აღმოსავლეთში წავალთ. თანახმაზართ? — ვასომ შეხედა მზეონას და უცბად ყველაფერს მიხვდა. სახტად დარჩენილს ხმა ჩაუწყდა, გაფითრებულ ტუჩზე მწარე ლიმილი დებევდა. — ეს რაა... — აღმოხდა გულჩაწყვეტილს და მზეონას სახე ზოარიდა, — მარტო მე ვლაპარაკობ. თქვენ კი... ერთი სიტყვაც არ გითქვამთ...

მზეონა სდუმდა. აბა რა უნდა ეპასუხნა, როდესაც ვასოს შეხედვაც კი რცხვენოდა. რატომ რცხვენოდა, აბა მზეონა რა შეაში იყო! მას ხმი შხოლოდ მეგობრობა სურდა ვასოსთან და აი რა მოხდა... სისულელეა პირდაპირ. მაინც ასე ერთბაშად რად მონახალა ყველაფერი... — ფიქრობდა მზეონა, — ჩემი ბედიც თეითონ გადაუწყვეტია. აბა, ამის უფლება ეინ მისცა... შაგრამ გოგონას მაინც სურს რაიმე უპასუხოს ვასოს. არა, რაიმე კი არა, სიმართლე უთხრას. ტყუილი მე არასოდეს არ მითქვამს და არც შენ მოგატყუილებ. ჩემო საბრალო, ჩემო კარგო ვასო.

— არ გეწყინოს, ვასო, — უნებლიერ შეხობით მიშართა ლეიტენანტს მზეონამ; მას უნდოდა შხოლოდ რითამე შეემსუბუქებინა ვასოს განცდა, რადგან იცოდა, რომ



მისი სიტყვები ვაქს ეწყინებოდა.—მე... შე სულ ხევა/ გრძნობა მაქვს შენთან, გესმის, სულ სხვა. ცალიცარებული

— მესმის,—თავი დახარა ვასომ, სახეზე ჩლილობის
ღრმილი აღებეჭდა.—ყველაფერი მესმის. აბა, რაღ უნდა
დაიუკავშირო თქვენი ბედი ვიღაც უჩინო ლეიტენანტი!—
ვასოს ირონიულად გაეღიმა,—ამავე დროს ეს სულელი
ლეიტენანტი თქვენ პირდაპირ გთავაზობთ გაჰირვებას
მშვიდი და წყნარი ცხოვრების ნაცვლად. რა სასაცილოა,
რომ შორეულ აღმოსავლეთში გეპატიფებით, როცა თქვენ
ალბათ ოცნებობთ...

სიბრაზისაგან მზეონას თეალები გაუზუქდა. წელში
გასწორდა, მის ხმაში წყენა გამოიხატა.

— როგორ ბედავთ! როგორ ბედავთ ჩემზე ასეთი აზ-
რი იქონიოთ. მე თუ შემიყვარდა ადამიანი, ქვეყნის დასა-
ლიერს გავყვები. გესმით, ქვეყნის დასალიერს. შორეულ
აღმოსავლეთში კი არა, სადაც გინდა, წავალ და ყველა-
ფერს აფიტან.

— ბოლიშს ვიხდი, —ჩუბად უჰასუხა ვასომ, მან დაი-
ნახა, რომ მზეონას ლაშვებზე ორი დიდი ცრემლი ჩამო-
უკურდა. თვალი ვერ აარიდა, თუმცა ძალიან ემძიმე-
ბოდა ამ ცრემლის დანახვა. — ბოლიშს ვიხდი, თქვენი
წყენა არ მიფიქრია.

მზეონასათვის მძიმე ასატანი იყო ყველაფერი ეს, მაგ-
რამ გრძნობდა. რომ ვასოს კიდევ უფრო მე წად ემძიმე-
ბოდა.

— წავიდეთ აქედან, — თქვა მზეონამ

— გაგაცილებთ.

— როგორც გინდათ.

ქუჩაში მიღიოდნენ და სულ უბრალო, უძნიშვნელო
თემებზე საუბრობდნენ. უკვე ყველაფერი ითქვენი ულტრა
მეტად ძნელია, როცა უკვე ყველაფერი ითქვენი ულტრა
ლობისათვის მაინც უნდა ილაპარაკო. მზეონა ლაპარა-
კობდა ყველაფერზე, რაც ენაზე მოადგებოდა და არც კი
უფიქრდებოდა სიტყვების შინაარსს. თვითონ სულ
სხვაზე ფიქრობდა: რომ თურმე ამაოდ ოცნებობდა რე-
ვაზსა და ვასოსთან მეგობრობაზე. ოცნება გაქრა. ეჭ,
რა საწყენია, როდესაც ფიქრი არ გაგიმართლებს. რას
იზამს' ისევ რევაზთან იმეგობრებს. რევაზმაც რომ... არა,
არა... რევაზი ასეთი არ არის. ის უფრო კარგია, ამაში
დარწმუნებულია. თუმცა თითონაც კარგად არ იცის,
რით სჯობს ვასოს რევაზი?

ჭიშკართან მზეონამ ხელი გაუწოდა ლეიტენანტს.

— ნახვამდის, ვასო, იმედია, კიდევ შევხვდებით ერთ-
მანეთს.

— მე ვფიქრობ, არა, — უპასუხა ლეიტენანტს.—
სჯობს აღარ შევხვდეთ ერთმანეთს.

— როგორც გინდათ.

— მე კი არა, თქვენ გინდათ ეს.—ვასომ მზეონას
შეხედა. მზეონას ერთ წუთს საშინლად შეეცოდა ის, ისე
ჩაფერფლილი და ნალვლიანი თვალები ჰქონდა.

— არ არის მართალი, — წამოიძახა მზეონამ, — მე მინ
დოდა შეჩიან მეგობრობა, ვასო.

— არ მითხრათ, — შეეცემა ვასო, — ვთხოვთ, არ მითხ-
რათ ეგ სიტყვა: მეგობრობა! თქვენ ვგონიათ არ ეიცი,
რას ნიშნავს, მეგობრობა... თქვენ ვგონიათ მე არ შემიძ-
ლია მეგობრობა, მაგრამ თქვენ ოდესმე გაიგებთ სიყვა

რულსა და მეგობრობას შორის განსხვავებას; თეითომ
გაიგებთ.

- მე შესმის.
- არა, არ გესმით.
- ახ, ვასო... მე ძალიან მწყინს.
- გაჩუმდით, მზეონა! რა შუაშია აქ სიბრალუ-
ლი,—უპასუხა უკვე გაჯავრებულმა ვასომ, თავი ამაყად
ასწია და დაუმატა:—ნუ იფიქრებთ, რომ უთქვენოდ
მოგვედები. ამ მიზეზით სიკედილის უფლება არ მაქვს.
გესმით, უფლება არ მაქვს.

ის წავიდა ამაყი ნაბიჯით, მაღალი, თამამი, მხრებ-
განიერი. არც მოუხედავს. მზეონა გულის სილრმეში
გრძნობს, როგორ ემძიმება ვასოს მისგან წასვლა. „სა-
წყალი! რა მისი ბრალია!“ ფიქრობდა მზეონა და დიდ-
ხანს გასცემოდა ვასოს.

იქნებ მოიხედო, ამაყო ლეიტენანტო? ან იქნებ არც
არის საჭირო. არაა საჭირო, თუ იგრძენი, რომ ქალი-
შვილის სიბრალული ნამდვილ სიყვარულს ვირ შეგიცვ-
ლის, მით უმეტეს, თუ შენ მხოლოდ სიყვარულს ეძებ.

13

დილით გამოირკვა, რომ კატა დაიკარგა. მზეონა და
გიორგი დიდხანს ეძებდნენ კატას, მაგრამ თითქოს მი-
წამ შთანთქაო.

- ნუთუ მოიპარეს,—წყენით თქვა გიორგიმ.
- ნუ ლელავ, ისევ მოგიგდებენ,—დაცინვით მიუგო
ბებიამ.

ბებია გახარებული იყო რომ, მისი დიდი წნის მური
გადაიკარგა. გიორგიმ ხმა აიმალლა და ბებიას ეგრძელებულ
უწოდა. მოხუცს ეწყინა და უცემ, არც აცილებული უცემ
ხელა, მოულოდნელად განაცხადა: სტუმრად წასვლას
ვაპირებო. ბებია დიდი ხანია სტუმრად არ ყოფილა; მზეონამ უთო გააცხელა და კაბა დაუუთოა. აბა, თუ
ქალი ხარ, ისე დააუთოე, რომ ბებიას მოწონება და-
იმსახურო!

სანამ მზეონა სამზარეულოში ბუზღუნით აუთოებდა
ძველი მოდის კაბას, გიორგიმ გამოარკვია, რომ იგი
სტუმრად მიღიოდა ვასო ქორქიას დედასთან, რომელ-
საც ოდესლაც თურმე ახლოს იცნობდა.

— მზეონა, გესმის, ბებია დასაზვერავად მიღის შენი
საქმროს ოჯახში,—სიცილით უთხრა დას გიორგიმ.

— რომელი საქმროს ოჯახში?

— ვასო ქორქიას.

— ვასო რა ჩემი საქმროა? რა სისულელეა.

მზეონას უცემ მოაგონდა ვასოსთან გუშინდელი საუ-
ბარი და გაწითლდა.

— ბებია, შენ იმათთან არ წახვალ,—მყაცრად თქვა
მზეონამ,—მე გეუბნები, რომ არ წახვალ-მეთქი.

— ეს ჩემი პირადი საქმეა,—უპასუხა მშვიდად ბე-
ბიამ.—მინდა და წავალ, თუ არ მინდა, არ წავალ.

ბებია წავიდა.

— რა ჭიუტი ბებია გეყავს, ახლა კი მესმის, რად
გაექცა პაპა,—თქვა გიორგიმ,—ძალიან კარგად მესმის.

ნახევარი საათის შემდეგ გიორგიც მოემზადა წასასვ-
ლელად. რაღაც საქმე მაქვსო.



— ცისფერი საქვე? — გაეცინა მზეონას.

— რატომ ცისფერი? ნორმალური საქმეა მაგრა მარტინი გილორგიმ.

— მაშ თუ ასეა, წადი, — ამოიოხრა მზეონამ. ის მარტო რჩება თავისი ეპევებით, დარღითა და აკვიატებული ფიქრებით. ნეტავ სწორად თუ მოიქცა გუშინ? ჰქონდა თუ არა უფლება ასე მყაცრად უკუეგდო კარგი კაცის სიყვარული. კარგის? რასაკვირველია, კარგი და ახლობელი ადამიანის სიყვარული. ვაითუ... ოდესმე ჩემს სიყვარულსაც ასე უარყოფენ? რას იზამ! მაშინ მეც ისე დავიტანჯები, როგორც ვასო. ისე დავიტანჯები? იქნებ ის სულაც არ იტანჯება? როგორ არა, იტანჯება. მან ხომ დაინახა მისი თვალები. ახლაც თვალწინ უდგას ნალვლიანი, ჩაფერფლილი თვალები. ნეტავ შესაძლებელი ყოფილიყო, რომ... მაშ, რა უნდა ექნა? გულს ხომ ვერ უბრძანებ! ვასო კი შეჩვეულია ბრძანებას და სხვების დამორჩილებას. მას ასე ჰევაზია... მაგრამ ის ცდება. აი რევაზი კი სულ სხვაა, საინტერესოა, მოვა დღეს თუ არა? ბებიამ დილას იწინასწარმეტყველა, წვიმა მოვაო. ბებიას თავისი მეტეოროლოგიური მეცნიერება აქვს: თუ კატა ხეს ფხავნის — ქარი იქნებაო; სახსრებმა თუ ტეხა დაუშუო — წვიმა მოვაო. თუ წვიმა მოვა, შეიძლება რევაზი არ მოვიდეს. მზეონას კი ძალიან უნდა, რომ რევაზი მოვიდეს. მარტოობა აუტანელია მისთვის.

მზეონას უნდოდა ბებიას პროგნოზი შეემოწმებინა და აივანზე გამოვიდა. სწორია: წვიმა მოვა. მთაწმინდის თავზე დათვივით უშველებელი ლეგა ლრუბელი გამოჩნდა. ლრუბელს ისე ეჩქარებოდა, თითქოს გადაუდებელი

საჭმები ელოდებოდეს. აი მან თავისი აბურმგნული თა-
თი პავილიონის ბრტყელ სახურავს დაადო, ქედიედ მოსკ
ცილდა და ქვემოთ, ქალაქისაკენ დაცურდეს ჰუაზრი ცვე
სულის შემხუთავი ჰაერია. პაპანებია. ხეზე ფოთოლი
არ ირხევა. წვიმა მოვა.

სხვა დროს მზეონას ეს წვიმა სტუმარივით გაახარებ-
და. ბავშვობიდანვე უყვარდა მას ზაფხულის მხიარული
წვიმა, რომელიც გარს ყველაფერს აცოცხლებს.

ახლა კი ეს საძაგელი ღრუბელი გამოჩნდა ნეტავ
რას ჩქარობს ჩემს ჯიბრზე. დიახ, ჩემს ჯიბრზე. ყველა-
ფერი, ყველა ჩემი წინააღმდევია,—ფიქრობდა მზეონა.

წვიმა დიდხანს მოდიოდა, ხან წყდებოდა, ხან ძლიე-
რად ასხამდა. მზეონა კი ფიქრობდა: „არა ჰვავს ზაფ-
ხულის წვიმას, მომაბეზრებელია. გაუთავებელი. ხეირია-
ნადაც კი ვერ ქუხს. ან ეს ელვა რასა ჰვავს, ძლივს ბეუ-
ტავს. საწყენია, რომ იმ სულელური წვიმის გამო ალბათ
არ მოვა ის, ვინც ახლა მას ძალიან სჭირდება“.

წვიმამ გადაილო, მზეონა ისევ გავიდა აივანზე, რო-
გორ გაბრწყინებულა ირგვლივ ყველაფერი. რა ახალგაზრ
დული ჩანს წვიმით გადარეცხილი თბილისი. თითქო
ნაცრისფერი მტვრიანი ტანსაცმელი გაიხადა და მწვანე
საზეიმო კაბა გადაიცვაო. რა ჰაერია! გინდა ხარბად
ისუნთქო ბალახის სუნით გაეღენთილი ჰაერი. მზეონას
ახლა მტეკიცედ სჯერა, რომ ყველაფერი კარგად იქნება,
და თითქოს სწორედ ამის დასამტკიცებლად, კუთხეში
გამოჩნდა სწორედ ის, ვისაც ელოდა.

— რევაზ! ძირს დამიცადეთ! ახლავე ჩამოეალ.

კიბეზე ქალიშვილს კატა მიეგება, რა საცოდავია.

მთლად გაწუწულა... მარჯვენა თვალთან ნაკაშრი იქვს
და ზედ სისხლი შებმობია.

— შე მაწანწალა, შენა. შენთან სათამაშიც პატყუება
ლია,—მზეონამ კატა დერეფანში შეაგდო, კარი მიიჯა-
ხუნა, თვითონ კი სირბილით დაეშვა კიბეზე.

— გამარჯობათ, რევაზ! — მე მეშინოდა, რომ არ მოხ-
ვიდოდით, — გულწრფელად უთხრა მზეონამ და რევაზის
ხელი თავის ხელში დიღდხანს გააჩერა.

— ფუნიკულიორზე ავიდეთ? — ჰკითხა რევაზმა.

— ავიდეთ ფუნიკულიორზე, და აუცილებლივ ფეხით.

ხელიხელ ჩაკიდული პანთეონში ავიდნენ. მთაწმინდაზე
განისვენებენ ქართველი ხალხის ბუმბერაზები. მზეონა
და რევაზი გარინდებული დასკერიან ფშავის მთებიდან
ჩამოტანილ ნაცრისფერ ქვას. ეს ვაჟა ფშაველას საფლა-
ვია. პოეტისა, რომელმაც ადამიანის გულის ყველაზე
უფრო იღუმალ კუნკულებში ჩაიხედა. შემდეგ ახალგაზრ-
დები რკინის მესრით შემოლობილ გამოქვაბულს მიადგ-
ნენ. მზეონამ ხელი მაგრად ჩასჭიდა რევაზს, ჩურჩულით
გაიშეორა სიტყვები იმ თექვსმეტი წლის ქართველი ქა-
ლისა, რომლის სახელიც სამარადისოდ დაუკავშირდა
ალექსანდრე გრიბოედოვის სახელს.

„გონება და საქტენი შენი უკვდავია რუსეთისათვის,
მაგრამ შენ შემდეგ ვით გასძლოს ჩემთა სიყვარულმა“.

— აქ დავსხდეთ — თქვა რევაზმა.

გამოქვაბულთან, მწვანე სკამზე ჩამოსხდნენ და ჩუმად
ფიქრობდნენ. მათ არ იციან, რომ თბილისში ძველთა-
გასვე ტრადიციად მოდის: შეყვარებულნი ამ გამოქვა-
ბულთან მიდიან და იქვე სკამზე ჩუმად სხდებიან, თით-
ქოს მხოლოდ აქ შეიძლება მტკიცედ იგრძნო სიყვარუ-
ლის ძალა და სილრმე.

მაგრამ მზეონას ჯერ კიდევ არ უყვარს არაფიქტ. ის
მხოლოდ სიყვარულის კარიბებისთან ჩომდგარა, და სურს
იცოდეს — როგორია ის!

— არ ინატრებდით, — ჰკითხა მზეონაშ რევაზს, —
თქვენც ვისმე ისე შეყვარებოდით, როგორც ნინო ჭავ-
ჭავაძეს უყვარდა გრიბოედოვი? ან იქნებ ფიქრობთ,
რომ ჩევნს დროში ასეთი სიყვარული აღარ არსებობს?

ამ შეკითხვით დაბნეული რევაზი სდუმს. მაგრავ მზე-
ონა პასუხს არც ელის. იგი თვითონვე მიუგებს:

— მე ვიცი, რომ არსებობს. აი მაგალითად, დედა-
ჩემი, ნუ გელიშებათ, რევაზ. მე ძალიან ვამაყობ, რომ
დედაჩემმა ასეთი სიყვარული იცის. როდესაც მამა ფრონტ-
ზე დასჭრეს, დედამ ის გადაარჩინა. სიკვდილს ხელიდან
გამოგლიჯა. გესმით, სიკვდილს გამოგლიჯა. ახლა გჯი-
რათ, რომ ასეთი სიყვარული არსებობს?

— მჯერა! — ჩუმად უპასუხა რევაზმა.

— დედათქვენი კი როგორია?

— დედაჩემი. ის ყიელაზე ლამაზი და კარგი ქალია.

მზეონას ვერ წარმოედგინა, რომ თავშეკავებული
რევაზი ვისმეზე ასეთი ალტაცებითა და ალთროვანე-
ბით ილაპარაკებდა. რა კარგია რევაზი, და რა ძლიერ
უყვარს თავისი დედა. შესანიშნავი თვისებაა, როდესაც
ადამიანს ასეთი სიყვარული შეუძლია. ასეთ ადამიანს
შეგიძლია ყველაფერში ენდო, ასეთი ადამიანი არ გი-
ღალატებს.

— დედაჩემისგან ვსწავლობ ერთგულებასა და ხასია-
თის სიმტკიცეს, — განავრძო რევაზმა, — ყველას უკვირს,
რომ დედაჩემი სულ ახალგაზრდა და ლამაზია, და აქამ-
დე მძიმედ გლოვობს მამას.

— განა მამა არ გყავს? — ფრთხილად ჰკითხა ბზე
ნამ.

— მამაჩემი ხუთი წლის წინ დაიღუპა. გამოიტკიცია და
დგურთან დიდი საწყობი რომ დაიწვა? მამაჩემი მეხან-
ძრე იყო. საწყობში იყო, როკა კერი ჩამოინგრა.

— რა საშინელებაა.

— აქამდე ვერ დამიეციშვნია ეს ამბავი!

— რა ძნელია! — წამოიძახა მზეონამ და თავისი ლოყა
რევაზის ლოყას მიადო. ასე უალერსებდა ხოლმე ბავ-
შვილაში მას დედა, ტკივილებს დაუამებდა და თან ჩის-
ჩურჩულებდა: შენი სატკივარი მე ამტკევდეს, შვილო,
შენი კირიმეო. მართალია, ეს სიტკები მზეანას ახლა
არ გაუმეორებია, მაგრამ ის მზად იყო ყველაფერი გაე-
კეთებინა იმისათვის, რომ რევაზისათვის ტკივილი შეე-
მსუბუქებინა. მზეონა მხოლოდ წუთით შეეხო რევაზის ლო-
ყას და მაშინვე სახე მოაცილა. რევაზს ლოყაზე აღმური
აედინა, თითქოს მდფულარე გადაასხესო. რევაზმა თავი-
სებურად უპასუხა მზეონას მეგობრულ აჯერსს. აიღო
მისი ხელი და მზეონას თითებს ტუჩი შეახო. მხოლოდ
ფრთხილად შეახო ტუჩი და მზეონას გული უცნაურად
აძგერდა. თითქოს გული საგულედან აზოვარდნას ლამობ-
და. და მისთვის სულ მოულოდნელად საკვირველი სი-
ტკები აღმოხდა:

— ჩემო ბიჭო... ჩემო კარგო ბიჭო.

— როგორ... როგორა თქვი? — რამდენჯერმე ჩაეკი-
თხა დაეჭვებული რევაზი.

მზეონამ არ უპასუხა. ახლა მისი გული შიშით კრთის:
ეს რა ჩავიდინე, ეს რა სიტკები წაბომცდაო.

— მე მოგესმა, თუ მართლა თქვი ეს სიტყვები, — დაბნეულმა რევაზმა.

— მოგესმათ, იცით, რასა გთხოვთ, თუ შექმნის თქვენი დედის სურათი მაჩვენეთ, როდესპუტის ურდებით ერთმანეთს. მოიტანთ?

— მუდამ თან დამაქეს.

რევაზმა მზეონას გაუწოდა პატარა სურათი. სურათზე გამოხატული შაკეაბიანი ლამაზი ქალი მზეონას შესცეკერის დიდი და ნათელი თვალებით. შესცეკერის, მაგრამ რად აქვს ასეთი მკაცრი გამოხედვა? ალბათ იმ ახალგაზრდა ქართველ ქვრივსაც, რომელმაც თქვა: შენ შემდეგ ვით გაძლოს ჩემმა სიყვარულმაო, — ასეთი თვალები ჰქინდა, — გაიფიქრა მზეონამ.

და რაც უფრო დიდხანს უკვირდებოდა გოგონა სურათს, მით უფრო ცოცხლად ეხატებოდა ამ ქალის თვალები. მათში იგრძნობოდა აწ მიმქრალი, მაგრამ ოდესლაც ძლიერი ცეცხლი. ეს მზერა გულის სიღრმეში წვდებოდა მზეონას და მკაცრად, მაგრამ მგზნებარედ და პირდაპირ ეკითხებოდა: „აი შენ ახლა თქვი, ჩემო ბიჭოო, და რა უფლება გქონდა გეკითხა ეს? ეს ხომ ჩემი ბიჭია და არა შენი. დიახ, ჩემი ბიჭია! ის მე მიტარებია მუცლით, მე მიშობია, გაჭარვებით გამომიზრდია და შენ კი... შენ გინდა მისი გული დაიპყრო; შესძლებ განა სანაცვლოდ მას შენი გული მისცე? გული მისცე სამუდამოდ, სამარადისოდ? შენ ჯერ არ შეგიძლია გააკეთო ეს და მაშ რად ამბობ ამ სიტყვებს? მაშ რად გინდა ჯერ მისი გული? გასართობად და სათრევილად? გული ხომ ბუოთი არ არის, პატარავ, გულს როდი ეთაშაშებიან“.

მზეონამ მძიმედ ამოიოხრა და რევაზს სურათი და
ბრუნა:

— კარგი დედა გყოლიათ, რევაზ! შემცირება

— მოგეწონათ? თქვენ ჯერ არ იცნობთ მას. გინ-
დათ, ჩვენთან წამოდით. დარწმუნებული ვარ, თქვენ ც
მოეწონებით მას, ვიცი, მოეწონებით.

— არა, რევაზ, ასეთი არ მოვეწონები დედათქვენს.

— როგორი? — ჰკითხა გაკვირვებულმა რევაზმა.

მას უნდოდა შეკამათებოდა მზეონას, მაგრამ რაღაც
შინაგანმა ძალამ შეაჩერა. ის ჩაუფიქრდა მზეონას სი-
ტყვებს, თითქოს რაღაც ენიშნა მის ნათქვამში და სურს
დარწმუნდეს, ასეა თუ არაო.

რევაზი მზეონას დააშტერდა. მისი თვალები ახლა
ძალიან ჰგავდა დედის თვალებს. ასეთი თვალები არა-
სოდეს არ სტუიან, მაგრამ არც ასეთი თვალების მო-
ტყვება შეიძლება.

მზეონას თვალები არასდროს, არასდროს არა სტუ-
იან. იგი გულწრფელი, ხალასი მზერით ეუბნება რე-
ვაზს: „მე ვიცი, რასაც ეძებ ჩემში, მაგრამ ი, ხომ შენ
თვითონ ხედავ, რომ ჯერ არ დაბადებულა ეს გრძნობა.
მე არ მინდა არც შენი და არც საკუთარი თავის მოტ-
ყვება. მაგრამ თუ...“

მზეონამ ფიქრშიც ვერ დაამთაერა ეს წინადადება.
მან ჯერ კიდევ არ იცის, რა იქნება მომავალში.

— მიგიხვდით, — დაუფარავი ნალველით თქვა რევაზ-
მა. და ცოტა ხნის დუშილის შემდევ ფრთხილად ჰკი-
თხა: — მაგრამ როდისმე მაინც მოხვალთ ჩვენთან?

— თუ ამის უფლება მექნება, მოვალ.

— მაში, გელიდოთ?

მზეონამ თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია. მას სურს, რომ ელოდნენ. მას სურს, რომ ელოდეს არა უხუცესები მე, არამედ სწორედ ეს—მორცხვი და ჩუმი, კალგი, ძვირფასი რევაზი.

... პანთეონიდან ბალისაკენ სახითათო, ციცაბო ბილიკი ადის. და რაღგანაც სიტყვამ მოიტანა, პირდაპირ ვიტყვი, რომ ეს არ არის სიმბოლური ბილიკი და არც ამ მოთხრობის შესალამაზებლად ვუწოდე მას სახითო და ციცაბო, ეს ბილიკი ნამდვილად არსებობს და ადამიანებმა ის ძლიეს გაკვალეს იმათვის, ვისაც არ სურდა ესარგებლა ფუნიკულიორის მოხერხებული ვაგონებით. მართლაც ძნელია ამ საცალფეხო ბილიკით ასელა, მაგრამ ეს მხოლოდ მოხუცებს უკირთ; ისეთი ახალგაზრდებისათვის კი, როგორც მზეონა და რევაზი არიან, სასიამოვნოც არის ხელიხელჩაკიდებული ჩუმად აჰყვნენ მას. ისინი ჩუმად იმიტომ კი არ ადიოდნენ, რომ უკვი ყველაფერი ითქვა. არა, სიტყვებით თითქმის არაფერი თქმულა. ან რა საჭიროა სიტყვები, როდესაც გული მეტყველებს. ამ დროს სწორედ დუმილია უპირატესი. არ მახსოვს, ვინ მითხრა—დიდი ხანი გავიდა მას შემდეგ—როცა გრძნობა გვირევა, მაშინ სიტყვა გვიღევაო... მეც ეს სიტყვები მაგონდება და საკუთარ თავს ვურჩევ:

— ჯერ შეიცადე! ამ სიტყვებით დაამთავრე შენი მოთხრობა, რომელსაც სულ ერთია, სიყვარულის ამბავს ვერ უწოდებ, რადგან სიყვარული მხოლოდ ახლა იწყება.



ЭММАНУИЛ АБРАМОВИЧ ФЕЙГИН

М э о н а

Перевод Т. Джавахишвили

(На грузинском языке)

Изд-во „Сабчота Мцерали“

* *

Типография изд-ва „Сабчота Мцерали“

19 Тбилиси 58

Пыхановский, 181

* *

რედაქტორი ნ. ხოშერიძე

მხატვარი მ. ბელიაშვილი

მხატვრული რედაქტორი ი. ჯანაშვილი

ტექრედაქტორი ნ. ნანეიშვილი

კორექტორი ლ. ზედგინიძე

* *

გადაეცა წარმოება 6.VIII, 1958 წ., ხელ-

მოწერილია დასაბეჭდად 5.IX, 1958 წ.,

ანაზღაულის ზომა $5 \times 7,25$, საალბიცებვო-

საგამომცემლო თაბაზი 3,78, სასტამბო

თაბაზი 5,75, ქაღალდის ზომა 70×108 ,

ტირაჟი 10.000, შეკვ. 596

* *

გამ-ბა „საბჭოთა მწერალის“ სტამბა,

თბილისი, პლეხანოვის, 181

ფასი 1 გან. 45 კაპ.

25/819

041035320
80820100000